პრევენცია პროგრესისთვის

2022 წელი



# კვლევის ანგარიში

## მარნეულის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის ანალიზი, ახალგაზრდების საჭიროებების კონტექსტში

UK Government

პრევენცია პროგრესისთვის
Prevention For Progress

CEAC
Civic Engagement and Activism Center
სამოქალაქო ჩართულობისა და აქტივიზმის ცენტრი

Institute for War & Peace Reporting
IWPR

პრევენცია პროგრესისთვის

# კვლევის ანგარიში

## მარნეულის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის ანალიზი, ახალგაზრდების საჭიროებების კონტექსტში

მომზადებულია არასამთავრობო ორგანიზაცია „პრევენცია პროგრესისთვის“ მიერ

2022 წელი

წინამდებარე კვლევა შეიქმნა არასამთავრობო ორგანიზაციის „პრევენცია პროგრესისთვის“ მიერ “სამოქალაქო აქტივიზმისა და ჩართულობის ცენტრთან“ თანამშრომლობით, პროექტის - „მარნეულის ახალგაზრდები ცვლილებებისთვის“ ფარგლებში, ომისა და მშვიდობის გაშუქების ინსტიტუტის (IWPR) და გაერთიანებული სამეფოს მთავრობის მხარდაჭერით. მასში გამოთქმული მოსაზრებები, მიგნებები და დასკვნები წარმოადგენს ავტორის პოზიციას და შესაძლოა არ გამოხატავდეს IWPR-ისა და გაერთიანებული სამეფოს მთავრობის შეხედულებებს.

**კვლევის ავტორი:** ნატალია ცაგარელი

# სარჩევი

1.შესავალი ..... 5

2. კვლევის მიზანი..... 6

3. კვლევის ამოცანები ..... 6

4. კვლევის მეთოდოლოგია..... 6

4.1 სამაგიდე კვლევა..... 6

4.2 თვისებრივი კვლევა ..... 6

5. კვლევის შეზღუდვა ..... 7

6. კვლევის ძირითადი მიგნებები და რეკომენდაციები..... 7

6.1. სამაგიდე კვლევა..... 7

6.2. თვისებრივი კვლევა..... 9

7. რეკომენდაციები: ..... 10

8. სამაგიდე კვლევა..... 11

8.1 საერთაშორისო და ადგილობრივი კანონმდებლობა ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებისა და ბიუჯეტის დაგეგმვის შესახებ ..... 11

9. მარნეულის 2022 წლის ბიუჯეტი ახალგაზრდულის საკითხების შესახებ..... 19

10. 2023 წლის ბიუჯეტი ახალგაზრდულ საკითხებთან დაკავშირებით ..... 22

11. ჩაღრმავებული ინტერვიუები ..... 24

11.1. ახალგაზრდების ინფორმირება ბიუჯეტში მათთვის გათვალისწინებული ხარჯების შესახებ და მათი დაფინანსების საკითხები ..... 24

11.2. ახალგაზრდების ჩართულობა მარნეულის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფორმირების საკითხებში..... 31

11.3. მარნეულის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდების პრიორიტეტები და თვითმმართველობის ანგარიშვალდებულება..... 35

## 1.შესავალი

ახალგაზრდობა საზოგადოების მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს, რომელსაც შეუძლია არსებითი წვლილი შეიტანოს ქვეყნის განვითარებაში. მნიშვნელოვანია შეიქმნას გარემო, რომელიც პასუხობს ახალგაზრდების წინაშე არსებულ გამოწვევებს, იძლევა მათი ჩართულობისა და ახალგაზრდული პოლიტიკის ეფექტიანი განხორციელების შესაძლებლობას.

კანონმდებლობის თანახმად, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები ვალდებულნი არიან შექმნან შესაბამისი პირობები გადაწყვეტილების მიღების პროცესში მოქალაქეების ჩართულობის უზრუნველსაყოფად და მუნიციპლიტეტის ბიუჯეტში გაითვალისწინონ შესაბამისი პროგრამები მოქალაქეებითვის.[1]

საქართველოს მთავრობის მიერ შემუშავებულ იქნა დეცენტრალიზაციის 2020-2025 წლების სტრატეგია,[2] რომლის ერთ-ერთ ამოცანას წარმოადგენს გადაწყვეტილების მიღების პროცესში მოქალაქეთა, განსაკუთრებით კი ახალგაზრდების ჩართულობის გაზრდა.

აღსანიშნავია ასევე, რომ პარლამენტმა დაამტკიცა 2020-2030 წლების საქართველოს ახალგაზრდული პოლიტიკის კონცეფცია,[3] სადაც აღნიშნულია რომ ახალგაზრდებთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებათა მიღების პროცესში მათი მონაწილეობა სპონტანური და არასისტემატურია; მუნიციპალიტეტების დონეზე ახალგაზრდები აღნიშნულ პროცესში თითქმის არ არიან ჩართულნი. ახალგაზრდობის სააგენტოს მიერ განხორციელებული კვლევის თანახმად,[4] ახალგაზრდების ჩართულობა ადგილობრივ პოლიტიკურ მოვლენებსა და სამოქალაქო აქტივობებში ძალიან დაბალია. ისინი არ მონაწილეობენ მუნიციპალურ დონეზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში, არ ფლობენ ინფორმაციას მონაწილეობის ფორმების შესახებ.

აღნიშნული გამოწვევები უფრო მწვავედ დგას ეთნიკური და რელიგიური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში. 2014 წლის აღწერის მიხედვით, ქვეყნის მოსახლეობის დაახლოებით 13 პროცენტი სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენლებისგან შედგება. ამ ჯგუფებიდან ყველაზე მრავალრიცხოვანი ეთნიკურად აზერბაიჯანელები არიან, რომლებიც საქართველოს მოსახლეობის 6 პროცენტს შეადგენენ და ყველაზე კომპაქტურად დასახლებულნი არიან მარნეულის მუნიციპალიტეტში. საქსტატის 2014 წლის მონაცემებით, ეთნიკურად აზერბაიჯანელები მარნეულის მუნიციპალიტეტში მოსახლეობის 83%-ს წარმოადგენენ, სომხები მოსახლეობის 7%-ს, ქართველები კი 9%-ს. მარნეულის მუნიციპალიტეტში ზემოაღნიშნული ეთნიკური ჯგუფების წარმომადგენელ ახალგაზრდებს შორის გაუცხოება და ადგილობრივ ეთნიკურ თემებს შორის სუსტი კავშირები, კომუნიკაციის ნაკლებობა, ნელი ინტეგრაციის პროცესი, ურთიერთუნდობლობა აღნიშნულ ჯგუფებს შორის დაძაბულობას ზრდის. მარნეულის მუნიციპალიტეტში მცხოვრები ეთნიკურად ქართველი, აზერბაიჯანელი და სომეხი ახალგაზრდების საჭიროებები, წუხილები და გამოწვევები ხშირად ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს დღის წესრიგში არ დგას. ამ ჯგუფის

---

[1] https://cutt.ly/HKc61Ua

[2] დეცენტრალიზაციის სტრატეგია, 2020-2025 https://cutt.ly/1Kvqojh.

[3] საქართველოს პარლამენტი დადგენილება „2020-2030 წლებისთვის საქართველოს ახალგაზრდული პოლიტიკის კონცეფციის" დამტკიცების შესახებ. https://cutt.ly/hKvqxom.

[4] ახალგაზრდების საჭიროებების, გამოწვევების, ინტერესების და რესურსების კვლევა, ახალგაზრდობის სააგენტო, 2020 წელი. https://cutt.ly/bKvwcez.

წარმომადგენლები, როგორც წესი, საკუთარი ინდივიდუალური თუ კოლექტიური პრობლემების მოსაგვარებლად ადგილობრივ თვითმმართველობაზას არ და ვერ მიმართავენ. ISSA-ს (სოციალური კვლევისა და ანალიზის ინსტიტუტი) 2018 წლის კვლევის მიხედვით, ეთნიკური უმცირესობების 70%-ს არასდროს მიუმართავს თვითმმართველობისთვის საჯარო ან კერძო მიზნების დასაკმაყოფილებლად. არ არსებობს სპეციალური მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფდა ადგილობრივ დონეზე ახალგაზრდების პრობლემების მოგვარების ნაწილში ჩართულობის გაძლიერებას თვითმმართველობასთან თანამშრომლობისა და ზოგადად ადგილობრივ თემში აქტიურობის კუთხით. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს მარნეულის ბიუჯეტში ახალგაზრდული საკითხების ასახვა, ბიუჯეტის დაგეგმვის პროცესში ახალგაზრდების ჩართულობის უზრუნველყოფა და ადგილობრივი თვითთმართველობის ანგარიშვალდებულების პროცედურების გამართული ფუნქციონირება.

## 2. კვლევის მიზანი

კვლევის მიზანია შეისწავლოს 2022 წლის ბიუჯეტში ახალგაზრდული საკითხებისთვის გათვალისწინებული ხარჯების მიზანშეწონილობა, შეაფასოს მისი შემუშავების პროცესში ახალგაზრდობის ჩართულობა და გათვალისწინებული საბიუჯეტო ხაზების შესაბამისობა ახალგაზრდების წინაშე არსებულ რეალურ გამოწვევებთან.

## 3. კვლევის ამოცანები

**3.1** განხორციელდეს 2022 წლის მარნეულის ბიუჯეტის ანალიზი ახალგაზრდების საჭიროებების მიმართულებით;

**3.2** მოხდეს ბიუჯეტის ახალგაზრდულ საჭიროებებთან შესაბამისობის შეფასება, ასევე ბიუჯეტის დაგეგმვის პროცესში ახალგაზრდების ჩართულობის შესწავლა.

## 4. კვლევის მეთოდოლოგია

ანგარიშის მომზადების დროს, გამოყენებულ იქნა სამაგიდე და თვისებრივი კვლევის მეთოდები.

### 4.1 სამაგიდე კვლევა

სამაგიდე კვლევის ფარგლებში განხორციელდა თვითმმართველობასთან დაკავშირებული საერთაშორისო სტანდარტების, ადგილობრივი კანონმდებლობის (საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები), ასევე თვითმმართველობის საკითხებზე არსებული კვლევების მეორადი ანალიზი, მარნეულის 2022 წლის დამტკიცებული ბიუჯეტის, 2023 წლის ბიუჯეტის , 2022 წლის ბიუჯეტის შესრულების 9 თვის ანგარიშის, 2022 წლის ბიუჯეტის პროგრამული დანართის, ასევე 2022-2025 საბიუჯეტო პრიორიტეტებისა და 2023-2026 საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმის შესწავლა, შეფასდა მარნეულის მერიისა და საკრებულოს საქმიანობა ონლაინ პლატფორმა lsgindex.org ის (ადგილობრივი თვითმმართველობის ინდექსი) მონაცემებით.

### 4.2 თვისებრივი კვლევა

კვლევის აღნიშნული კომპონენტი განხორციელდა ორ ეტაპად:  კვლევის ინსტრუმენტების შემუშავება და მონაცემების შეგროვება-ანალიზი.

რესპონდენტების გამოკითხვა განხორციელდა ნახევრად სტრუქტურირებული გაიდლაინის (კითხვარის) მეშვეობით. გამოკითხვა განხორციელდა 2022 წლის ოქტომბერ-დეკემბერში.

თვისებრივი კვლევის  ფარგლებში, განხორციელდა მარნეულის მუნიციპალიტეტში მცხოვრები ახალგაზრდების, არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლების გამოკითხვა.

- მარნეულის მუნიციპალიტეტში მცხოვრები ახალგაზრდები - 18 რესპონდენტი;
- არასამათავრობო ორგანიზაციები, რომლებიც ახალგაზრდულ საკითხებზე მუშაობენ მარნეულის მუნიციპალიტეტში - 5 რესპონდენტი;
- მარნეულის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის (საკრებულო, მერია) წარმომადგენლები - 2 რესპონდენტი.

სულ ჯამში გამოიკითხა 25 რესპონდენტი.

## 5. კვლევის შეზღუდვა

კვლევის ფარგლებში გამოთხოვილ იქნა საჯარო ინფორმაცია მარნეულის მუნიციპალიტეტიდან, რომელიც ეხებოდა 2022 წლის ბიუჯეტის ფორმირებისა და ხარჯვის ნაწილებს, ასევე ბიუჯეტის დაგეგმვაში ახალგაზრდების ჩართულობის შესაძლებლობებსა და ფორმებს, რათა მიღებული მონაცემები ასახულიყო როგორც თვისებრივი, ისე სამაგიდე კვლევის ნაწილში, თუმცა მარნეულის მუნიციპალიტეტიდან დეტალური ინფორმაციის მოწოდება არ მომხდარა და ადგილი ჰქონდა მხოლოდ გადამისამართებას ოფიციალური საკანონმდებლო მაცნეს ვებ გვერდზე. აღნიშნულ გვერდზე, ასევე მარნეულის მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ვებ გვერდზე არ აღმოჩნდა დეტალური ინფორმაცია ახალგაზრდული საჭიროებების საბიუჯეტო ხაზის ხარჯვის შესახებ, შესაბამისად, კვლევა დაეყრდნო მხოლოდ იმ ინფორმაციას, რაც ოფიციალურ გვერდებზე იყო ხელმისაწვდომი, ასევე რესპონდენტების მონათხრობს.

ამასთან, მიუხედავად არაერთი მცდელობისა, ვერ მოხერხდა საკრებულოს სახელისუფლებო პარტიისა და მერიის თანამშრომლებთან ინტერვიუების ორგანიზება, შესაბამისად 5 რესპონდენტის ნაცვლად გამოიკითხა 2 რესპონდენტი, ხოლო აღნიშნულ სამიზნე ჯგუფთან დაგეგმილი სამი ინტერვიუ დამატებით შედგა ახალგაზრდებთან.

## 6. კვლევის ძირითადი მიგნებები და რეკომენდაციები

### 6.1. სამაგიდე კვლევა

- სამაგიდე კვლევამ ცხადყო, რომ ზოგადად მარნეულის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი ძირითადად შეესაბამება ბიუჯეტის ფორმირებისთვის ფინანსთა მინისტრის შესაბამისი ბრძანებით განსაზღვრულ მოთხოვნებს, თუმცა რიგ შემთხვევებში, როდესაც აქტივობის შესრულების ინდიკატორებად მითითებულია პროცენტული მაჩვენებლები, ცხადი არ არის რის საფუძველზე ხდება პროცენტების გამოთვლა (ტარდება რაიმე ტიპის კვლევა, გამოკითხვა, თუ რა მონაცემებს ეყრდნობა მოცემული საბაზისო და სამიზნე მაჩვენებლები);

- ახალგაზრდების საჭიროებისთვის გათვალისწინებული ხარჯები (პროგრამა 0503) 110,000 ლარი წარმოადგენს მარნეულის ერთიანი ბიუჯეტის 51119,500 ლარის მხოლოდ 0,215%-ს, რაც მიუთითებს რომ ახალგაზრდების საჭიროებებისთვის მარნეულის 2022 წლის ბიუჯეტში საკმაოდ მცირე თანხაა გათვალისწინებული;
- ახალგაზრდებისთვის გათვალისწინებულ აქტივობებს ნაწილობრივ მოიცავს კულტურული და სპორტული აქტივობების პროგრამებიც (0501 და 0502), თუმცა სპორტული წრეები, რომლებიც წესით ფინასდება 0501 პროგრამიდან ძირითადად მოიაზრებს ბიჭების ჩართულობას და გოგოების მონაწილეობა მინიმალურია, რაც შესაძლოა გამოწველი იყოს იმით, რომ გოგოების ინტერესებზე მორგებული წრეები ხელმისაწვდომი არ არის მუნიციპალიტეტის ყველა სოფელსა და ქალაქში. რაც შეეხება კულტურის ნაწილს, არ ირკვევა რა ფორმით ხორციელდება ახალგაზრდებში კულტურის პოპულარიზაცია და ახალგაზრდა შემოქმედთა წახალისება, შესაბამისად აღნიშნული აქტივობების ახალგაზრდების საჭიროებებთან შესაბამისობის შეფასება რთულია. ნებისმიერ შემთხვევაში აღნიშნული ქვეპროგრამების ბიუჯეტი საკმაოდ მწირია და ნაკლებად სავარაუდოა სრულად გაწვდეს ახალგაზრდების მნიშვნელოვან საჭიროებებსა და გამოწვევებს. მისასალმებელია ის ფაქტი, რომ 2023 წლის ბიუჯეტში საუბარია სპორტული წრეების სახეობების დამატებაზე გოგონათა ჩართულობის პრიორიტეტიზაციის კუთხით;
- მარნეულის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტში სპორტის სფეროს განვითარებისთვის (ბიუჯეტის მუხლი 0501), რომელიც ძირითადად ახალგაზრდებზეა ორიენტირებული, განსაზღვრული იყო 3 182 000 ლარით. მარნეულის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტით კი სპორტული სფეროს განვითარებისთვის (ბიუჯეტის მუხლი 0501), ბიუჯეტი შეადგენს 5 569 000 ლარს, რაც წინა წლის ბიუჯეტის იგივე პროგრამული ხაზის დაფინანსების 82%-იანი ზრდას წრმოადგენს.
- ცალკე ახალგაზრდებისთვის გათვალისწინებული ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია მხოლოდ სამი მიმართულების მხარდაჭერა, როგორიცაა სტუდენტების სატრანსპორტო ხარჯების დაფინანსება, წარმატებული სტუდენტებისთვის მერის ჯილდოს გათვალისწინება და ახალგაზრდული იდეების კონკურსი, თუმცა ზოგადად ახალგაზრდების საჭიროებები მნიშვნელოვნად სცდება აღნიშნულ კომპონენტებს და ბევრად უფრო ფართოდ უნდა იყოს წარმოდგენილი თუნდაც ადგილობრივი თვითმმართველობის კომპეტენციის ფარგლებში. ქვეპროგრამით გათავლისწინებული ბიუჯეტი არ არის საკმარისი თუნდაც დასახული პრიოროტეტების მნიშვნელოვანი წილის დასაკმაყოფილებლად, აღსანიშნავია, რომ სამომავლოდ 2025 წლამდე არც 2022 წლის მაჩვენებლის (110 000 ლარის) ზრდა იგეგმება, რაც შესაბამისად ვერც ახალგაზრდებზე ორიენტირებული აქტივობების გაფართოების შესაძლებლობას შექმნის;
- მისასალმებელია სპორტული ინფრასტრუქტურის განვითარებისა და კულტურული ღონისძიებების ორგანიზების ხარჯების ზრდა 2023 წლის ბიუჯეტში, რაც გარკვეულ წილად ემსახურება ახალგაზრდების ინტერესს და ახალი სპორტული მოედნებისა და კულტურული ღონისძიებების უზრუველყოფით ხელს უწყობს ახალგაზრდების ცხოვრების ჯანსაღ წესსა და კულტურულ აქტივობებში ჩართულობას.

## 6.2. თვისებრივი კვლევა

- კვლევამ ცხადყო, რომ ბიუჯეტის დაგეგმვის პროცესში ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები ვერ უზრუნველყოფენ აქტიურ დიალოგს მოსახლეობასთან, განსაკუთრებით კი ახალგაზრდებთან, მიუხედავად არსებული მცდელობებისა შექმნილიყო თვითმმართველობასთან არსებული ახალგაზრდული საბჭო, ეს მექანიზმი ქმედითი არ აღმოჩნდა და შექმნიდან რამდენიმე შეხვედრის მერე მალევე შეწყვიტა ფუნქციონირება;
- მართალია ახალგაზრდული საკითხების ნაწილი (წარჩინებულ სტუდენტთა ტრანსპორტირებაში თანამონაწილეობა, მერის ჯილდო წარჩინებული სტუდენტებისთვის და ახალგაზრდული გრანტების გაცემა) გათვალისწინებულია მარნეულის ბიუჯეტში, თუმცა როგორც აღმოჩნდა ამ მიმართულებით საჭიროებები ბევრად უფრო ფართოა ვიდრე ბიუჯეტში რეალურად გათვალისწინებული ხარჯი, ასევე არსებობს მთელი რიგი პრობლემები, რომლებიც ახალგაზრდებს აწუხებთ, თუმცა ბიუჯეტში ამ საკითხების მოსაგვარებლად თანხები გათვალისწინებული არ არის და მათი მოგვარება ადგილობრივი ბიუჯეტის ახალგაზრდული ხაზიდან უახლოეს მომავალში არ იგეგმება;
- კვლევამ ცალსახად წარმოაჩინა, რომ თვითმმართველობის ანგარიშვალდებულების ხარისხი არც ისე მაღალია, ხშირია განცხადებებზე პასუხების დაგვიანება, არ არის წახალისებული მოქალაქეების, მათ შორის ახალგაზრდების მონაწილეობა ანგარიშების განხილვასა და საკრებულოს თუ მისი კომისიის სხდომებში, არ ხდება ბიუჯეტის საჯარო განხილვის ორგანიზება, საკრებულოს წევრების მხრიდან ანგარიშების წარდგენა და მოსახლეობის ჩართვა ანგარიშის განხილვაში, კვლევის ფარგლებში ნახსენები არ ყოფილა სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო და აღინიშნა, რომ დასახლების საერთო კრებებიც ისე იმართება, რომ მოსახლეობის დიდ ნაწილს მათ შესახებ ინფორმაცია არ აქვს. კვლევამ წარმოაჩინა, რომ თვითთმართველობის წარმომადგენლები არ არიან ხელმისაწვდომი რესპონდენტები არც ჟურნალისტებისთვის და ზოგადად თვითმმართველობის საქმიანობის შესახებ ინფორმაცია დროულად და ხელმისაწვდომი საშუალებებით ვერ აღწევს მოსახლეობის ყველა ჯგუფამდე;
- კვლევის შედეგები ასევე აჩვენებს, რომ ახალგაზრდების აქტიურობა ადგილობრივი თვითმმართველობისთვის მნიშვნელოვანი არ არის, რესპონდენტები ამტკიცებენ, რომ პირიქით ეს თვითმმართველობის მხრიდან პრობლემად აღიქმება ხშირად ინციატივების გამოვლენა ირონიის საგანი ხდება. გამოკითხვამ ცალსახად წარმოაჩინა, რომ ახალგაზრდებს ადგილობრივ ხელისუფლებასთან კონსტრუქციული დიალოგის იმედი არ აქვთ და დარწმუნებულნი არიან, რომ მათი მოსაზრებები და წინადადებები თვითმმართველობის გადაწყვეტილებებზე გავლენას ვერ მოახდენს;
- კვლევამ ცხადყო, რომ მოსახლეობის უმრავლესობა თანაბრად არ აფასებს ეთნიკური უმცირესობებითა და ეთნიკურად ქართველებით დასახლებული სოფლების განვითარების შესაძლებლობებს. რესპონდენტების განმარტებით, ქართულ სოფლებში არსებული ინფრასტრუქტურული მოწყობა, თუ სერვისების ხელმისაწვდომობა ბევრად უკეთესია სხვა სოფლებში არსებულ ვითარებაზე, რაც ქმნის განცდას, რომ ადგილი აქვს სხვა ეთნიკური ჯგუფების მიმართ დისკრიმინაციულ მიდგომას;
- კვლევამ ცალსახად გამოკვეთა ქართული ენის სწავლების სირთულე მარნეულის რაიონში. გაირკვა, რომ რიგ სოფლებში საბავშვო ბაღები საერთოდ არ არის

ხელმისაწვდომი, სკოლები, ძირითადად ვერ უზრუნველყოფს სახელმწიფო ენის სრულფასოვნად სწავლებას ახალგაზრდებისთვის, რაც ხელს უშლის მათ შემდგომი განათლების მიღების ეტაპზე, ხელს უწყობს უმცირესობათა წარმომადგენლების იზოლაციას და ართულებს მათი ინტეგრაციის საკითხს, არაქართულენოვან მოსახლეობას უტოვებს განცდას, რომ არ არიან სრულუფლებიანი მოქალაქეები, ამავდროულად ენის არცოდნა მნიშვნელოვან ბარიერებს ქმნის ადგილობრივ თვითმმართველობასთან ურთიერთობის კუთხითაც;

- კვლევამ წარმოაჩინა, რომ ქალები, მათ შორის ახალგაზრდები ნაკლებად არიან ჩართულნი საზოგადოებრივ ცხოვრებაში, მათი მონაწილეობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში მამაკაცებთან შედარებით ნაკლებად მასშტაბურია, მათვე აწვებათ ტვირთად შვილების აღზრდა და ეკონომიკური თუ ყოფითი საკითხები, რაც საბოლოო ჯამში განაპირობებს იმ გარემოებას, რომ ქალებისთვის მნიშვნელოვანი პრობლემატიკა თვითმმართველობის ორგანოების პრიორიტეტებში ვერ ხვდება და მათი ხმა გადაწყვეტილების მიმღებ პირებამდე ნაკლებად აღწევს;
- კვლევის შედეგად შესაძლებელი გახდა იმ პრიორიტეტების იდენტიფიცირება, რაც ამჟამად ყველაზე მეტად აწუხებთ ახალგაზრდებს, ეს საკითხებია ქართული ენის სწავლების ხარისხის გაუმჯობესება, ტრანსპორტირების საკითხის მოგვარება რაიონის შიგნით და რაიონულ ცენტრში გადაადგილებისთვის, ახალგაზრდებისთვის არაფორმალური განათლების სივრცეებისა და ბიბლიოთეკების მოწყობა, სკვერების, კინო თეატრებისა და სათემო ცენტრების ხელმისავწდომობა რეგიონის სხვადასხვა სოფელში, ეთნიკური უმცირესობების ინტეგრაციის კუთხით სხვა რეგიონებთან გაცვლითი ბანაკებისა და არაფორმალური აქტივობების დაგეგმვა, საბავშვო ბაღების ფუნქციონირება, რათა ახალაგზრდა ქალებმა შეძლონ მეტი დრო დაუთმონ თავიანთ საჭიროებებს, სპორტული წრეების ხელმისავწდომობა ყველა სოფელში, სპორტის სახეობებისა და შესაბამისი ინფრასტრუქტურის მორგება გოგოების საჭიროებებზე.

## 7. რეკომენდაციები:

### ქალაქ მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიას და საკრებულოს:

- გაიზარდოს მარნეულის მუნიციპალიტეტში ახალგაზრდული საჭიროებებისთვის გათვალისწინებული საბიუჯეტო პროგრამის ოდენობა;
- მარნეულის ბიუჯეტში ახალგაზრდული საჭიროებების გათვალისწინების მიზნით, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებმა აქტიურად ითანამშრომლონ მარნეულის მოსახლეობასთან, განსაკუთრებით ახალგაზრდებთან, უზრუნველყონ დასახლების საერთო კრებების სრულფასოვნად ჩატარება, მერის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს ფუნქციონირება, ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნება, ბიუჯეტის დროულად გამოქვეყნება და საჯარო განხილვა, მოისმინონ ახალგაზრდების მოსაზრებები ბიუჯეტის შესახებ და მისი შედგენისას მაქსიმალურად მიიღონ მხედველობაში მოსახლეობის პრიორიტეტები;
- თვითთმართველობამ თანაბრად უზრუნველყოს ქალებისა და ეთნიკური უმცირესობების ჩართვა, როგორც ბიუჯეტის დაგეგმვის, ასევე სერვისებით სარგებლობის ნაწილში და მიიღოს აქტიური ზომები, რათა ქალებსა და ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებს არ შეექმნათ ხელოვნური ბარიერები თვითმმართველობასთან ურთიერთობის კუთხით;

- თვითმმართველობამ უზრუნველყოს თვითთმართველობის კოდექსით არსებული ანგარიშვალდებულების მექანიზმების სრულად ამოქმედება და აკონტროლოს ანგარიშების დროული წარდგენა, როგორც საკრებულოს წევრების, ასევე მერის მხრიდან, ინფორმაცია და განსახილველი საკითხები გამოაქვეყნოს მოსახლეობისთვის გასაგებ ენაზე არა მხოლოდ საკრებულოს სხდომების, არამედ კომისიის სხდომების შესახებაც;
- ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებმა მაქსიმალურად წაახალისონ მოსახლეობის ინიციატივები ადგილობრივი საკითხების გადაწყვეტის მიმართულებით და უზრუნველყონ განცხადებებსა და მიმართვებზე დროული და ადეკვატური რეაგირება;
- დისკრეციის გამოყენებისა და ახალგაზრდული საბჭოს შექმნის შემთხვევაში, ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებმა უზრუნველყონ მისი რეალური ფუნქციონირება და მისცენ მას შესაძლებლობა იმოქმედოს კონკრეტული სამიზნე ჯგუფის ინტერესებისა და საჭიროებების შესაბამისად. მნიშვნელოვანია თვითმმართველობის თანამდებობის პირებმა მაქსიმალურად მოახერხონ საბჭოების დისტანცირება პარტიული აქტივობებისგან, რათა მათ საქმიანობა განახორციელონ იმ მიზნების შესაბამისად, რომლის ფარგლებშიც მოხდა მათი ფორმირება;
- ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებმა კომპეტენციის ფარგლებში გადადგან აქტიური და თანმიმდევრული ნაბიჯები კვლევის ფარგლებში იდენტიფიცირებული ახალგაზრდებისთვის მნიშვნელოვანი გამოწვევების მოსაგვარებლად და მარნეულის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში შესაბამისი ხარჯების გასათვალისწინებლად;

## 8. სამაგიდე კვლევა

### 8.1 საერთაშორისო და ადგილობრივი კანონმდებლობა ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებისა და ბიუჯეტის დაგეგმვის შესახებ

ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებს, კანონის ფარგლებში აქვთ სრული თავისუფლება განახორციელონ თავიანთი ინიციატივა ნებისმიერი საკითხის მიმართ, რომელიც არ გამოირიცხება მათი კომპეტენციიდან ან რომელიც მინიჭებული არა აქვს ხელისუფლების რომელიმე სხვა ორგანოს.[5] ადგილობრივი ხელისუფლების საქმიანობაში მონაწილეობის მიღების უფლება გულისხმობს ადგილობრივი ხელისუფლების ძალაუფლებისა და ვალდებულებების განსაზღვრას და მათ გამოყენებაზე ზემოქმედების მოხდენას.[6]

მონაწილეობის მიღების უფლების გამოყენებისთვის ადგილობრივ ხელისუფლებას უნდა მიენიჭოს ძალაუფლება აამოქმედოს, განამტკიცოს და ხელი შეუწყოს მონაწილეობის მიღების უფლების გამოყენებას, უზრუნველყოს ისეთი პროცედურების შემოღება,

---

[5] ევროპული ქარტია ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ, მუხლი 4;

[6] ადგილობრივი თვითმმართველობის ევროპული ქარტიის დამატებითი ოქმი ადგილობრივი ხელისუფლების საქმიანობაში მონაწილეობის მიღების უფლების თაობაზე, მუხლი 1;

რომელიც ჩართავს ადამიანებს საკონსულტაციო პროცესებში, ადგილობრივ რეფერენდუმებსა და პეტიციებში.[7]

იმისათვის, რომ ხელისუფლების დონედ მიჩნეული იქნას კონკრეტული ორგანო, საჭიროა აკმაყოფილებდეს რამდენიმე კრიტერიუმს, კერძოდ ჰყავდეს არჩეული წარმომადგენლობითი ორგანო, ჰქონდეს საკუთარი უფლებამოსილებები, იგივე ექსკლუზიური უფლებამოსილებები, დამოუკიდებელი ბიუჯეტი, ჰყავდეს რეგისტრირებული მოსახლეობა და ჰქონდეს ტერიტორია.

მუნიციპალიტეტის რამდენიმე სახის უფლებამოსილება აქვს. მუნიციპალიტეტის უფლებამოსილების სახეებია: **მუნიციპალიტეტის საკუთარი უფლებამოსილებები** და **მუნიციპალიტეტის დელეგირებული უფლებამოსილებები.** მუნიციპალიტეტის საკუთარი უფლებამოსილებაა ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით დადგენილი უფლებამოსილება, რომელსაც ის დამოუკიდებლად და საკუთარი პასუხისმგებლობით ახორციელებს. მუნიციპალიტეტის დელეგირებული უფლებამოსილება არის სახელმწიფო/ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების ორგანოს უფლებამოსილება, რომელიც მუნიციპალიტეტს გადაეცა კანონის საფუძველზე ან საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად დადებული ხელშეკრულების საფუძველზე, სათანადო მატერიალური და ფინანსური უზრუნველყოფით. [8]

მუნიციპალიტეტის **საკუთარი უფლებამოსილებებია**: მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროექტის მომზადება, განხილვა და დამტკიცება, დამტკიცებულ ბიუჯეტში ცვლილების შეტანა, ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის მოსმენა და შეფასება; საბიუჯეტო სახსრების განკარგვა, სახაზინო ფინანსური ოპერაციებისა და საბანკო ტრანზაქციების წარმოება; მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების მართვა; ადგილობრივი მნიშვნელობის ბუნებრივი რესურსების, მათ შორის, წყლისა და ტყის რესურსების და მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მიწის რესურსების, მართვა; ადგილობრივი გადასახადებისა და მოსაკრებლების შემოღება და გაუქმება კანონით დადგენილი წესით, მათი განაკვეთების დადგენა კანონით გათვალისწინებული ზღვრული ოდენობების ფარგლებში; ადგილობრივი მოსაკრებლების ამოღება; მუნიციპალიტეტის სივრცის დაგეგმარების გეგმების, გენერალური გეგმებისა და განაშენიანების გეგმების/განაშენიანების დეტალური გეგმების შემუშავება და დამტკიცება; მუნიციპალიტეტის ტერიტორიის კეთილმოწყობა და შესაბამისი საინჟინრო ინფრასტრუქტურის განვითარება; მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ქუჩების, პარკების, სკვერებისა და სხვა საჯარო ადგილების დასუფთავება, ტერიტორიის გამწვანება, გარე განათების უზრუნველყოფა; მუნიციპალური ნარჩენების მართვა; წყალმომარაგების (მათ შორის, ტექნიკური წყლით მომარაგების) და წყალარინების უზრუნველყოფა; ადგილობრივი მნიშვნელობის სამელიორაციო სისტემის განვითარება; მუნიციპალიტეტის მართვაში არსებული ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების შექმნა და მათი ფუნქციონირების უზრუნველყოფა; მუნიციპალიტეტის მართვაში არსებული სკოლისგარეშე აღზრდის დაწესებულებების შექმნა და მათი

---

[7] იქვე, მუხლი 2;

[8] ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი, მუხლი 15;

ფუნქციონირების უზრუნველყოფა; ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ავტორიზაციის უზრუნველყოფა; ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების მართვა და ადგილობრივი მნიშვნელობის გზებზე საგზაო მოძრაობის ორგანიზება; ავტოსატრანსპორტო საშუალებების პარკირების ადგილებით უზრუნველყოფა და დგომის/გაჩერების წესების რეგულირება; მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის ნებართვის გაცემა; მოსახლეობის მუნიციპალური ტრანსპორტით მომსახურების ორგანიზება; გარე ვაჭრობის, გამოფენების, ბაზრებისა და ბაზრობების რეგულირება; მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მშენებლობის ნებართვის გაცემა, მშენებლობის საჯარო ზედამხედველობის განხორციელება, მიწის ნაკვეთისთვის ან/და შენობა-ნაგებობისთვის სამშენებლო განვითარების მიზნებისთვის შეუსაბამო მიწის ნაკვეთის ან/და შენობა-ნაგებობის სტატუსის მინიჭება, მიწის ნაკვეთზე აუცილებელი გზისა და სერვიტუტის დადგენა, ქარსაფარი (მინდორდაცვითი) ზოლის აღდგენისა და გაშენების გეგმის შემუშავებაში მონაწილეობა, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქარსაფარი (მინდორდაცვითი) ზოლის აღდგენა, გაშენება, მოვლა, დაცვა და მასზე ზედამხედველობა, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქარსაფარი (მინდორდაცვითი) ზოლის სტატუსის მქონე მიწის ნაკვეთის ან მისი ნაწილის სამეურნეო მიზნით გამოყენებისთვის დაინტერესებული პირისთვის სარგებლობის უფლებით გადაცემა, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ ქარსაფარ (მინდორდაცვით) ზოლში სპეციალური დანიშნულებით ჭრის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ გადაწყვეტილების მიღება, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქარსაფარი (მინდორდაცვითი) ზოლის მართვის გეგმის დამტკიცება, ქალაქთმშენებლობითი ღონისძიებების განხორციელება, აგრეთვე ამ მიზნით იურიდიული პირების დაფუძნება საქართველოს საკანონმდებლო აქტებით დადგენილი წესითა და დადგენილ ფარგლებში; შეკრებებისა და მანიფესტაციების გამართვასთან დაკავშირებული საკითხების რეგულირება კანონით დადგენილი წესით; მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების, კერძოდ, ისტორიულად ჩამოყალიბებული უბნის, თვითმმართველი ქალაქის ადმინისტრაციული ერთეულის, ამა თუ იმ ზონის, მიკრორაიონის, წყაროს, მოედნის, პროსპექტის (გამზირის), გზატკეცილის, ქუჩის, შესახვევის, ჩიხის, გასასვლელის, სანაპიროს, ესპლანადის, ბულვარის, ხეივნის, სკვერის, ბაღის, პარკის, ტყე-პარკის, ადგილობრივი მნიშვნელობის ტყის, სასაფლაოს, პანთეონის, შენობა-ნაგებობის, სატრანსპორტო სისტემის ობიექტის, სახელდება კანონით დადგენილი წესით; გარე რეკლამის განთავსების რეგულირება; შინაური ცხოველების ყოლის წესების დადგენა და უპატრონო ცხოველებთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტა; სასაფლაოების მოწყობა და მოვლა-პატრონობა; ადგილობრივი თვითმყოფადობის, შემოქმედებითი საქმიანობისა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვა და განვითარება; მუნიციპალიტეტში კულტურის სფეროს განვითარების ხელშეწყობა და ამ მიზნით შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება; ადგილობრივი მნიშვნელობის კულტურის ძეგლთა მოვლა-შენახვა, რეკონსტრუქცია და რეაბილიტაცია; მუნიციპალიტეტის მართვაში არსებული ბიბლიოთეკების, საკლუბო დაწესებულებების, კინოთეატრების, მუზეუმების, თეატრების, საგამოფენო დარბაზებისა და სპორტულ-გამაჯანსაღებელი ობიექტების ფუნქციონირების უზრუნველყოფა და ახალი ობიექტების მშენებლობა; ადგილობრივი მნიშვნელობის ობიექტებზე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის, ბავშვებისა და მოხუცებისათვის სათანადო ინფრასტრუქტურის განვითარება, მათ შორის, საჯარო თავშეყრის ადგილებისა და მუნიციპალური

ტრანსპორტის სათანადოდ ადაპტირებისა და აღჭურვის უზრუნველყოფა; უსახლკაროთა თავშესაფრით უზრუნველყოფა და რეგისტრაცია; ბავშვის უფლებათა კოდექსით გათვალისწინებული ბავშვის საჯარო სივრცეში დაცვის, საჯარო ღონისძიებაში მონაწილეობის მიზნით, ბავშვთა ჯგუფური ტრანსპორტირების წესების დაცვის და ბავშვზე მეთვალყურეობის განმახორციელებელი პირის (ღონისძიების ორგანიზატორის) მიერ ვალდებულებების შესრულების, ბავშვის ბეჭდურ მედიასთან, საჯარო კინოჩვენებაზე და მასობრივ გასართობ საცეკვაო ცენტრში (ღამის კლუბში) დაშვებისა და ბავშვისთვის ჩაწერილი ფილმის ხელმისაწვდომობის სამართლებრივი შეზღუდვების დაცვის, ბავშვისთვის ალკოჰოლური, ნარკოტიკული, ფსიქოტროპული, ტოქსიკური და თრობის სხვა საშუალებების, ალკოჰოლიანი სასმლის, თამბაქოსა და ნიკოტინის შემცველი ნაწარმისა და კაფსულის უსასყიდლო და სასყიდლიანი მიწოდების აკრძალვის წესების დაცვის მიზნით პრევენციული და შესაბამისი რეაგირების ღონისძიებების განხორციელება.

სახელმწიფო ან ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების ორგანომ მუნიციპალიტეტს შეიძლება გადასცეს სახელმწიფო/ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების ორგანოს ის უფლებამოსილებები, რომელთა განხორციელებაც ადგილობრივ დონეზე უფრო ეფექტიანია **(დელეგირებული უფელბამოსილება).**[9]

მუნიციპალიტეტს ასევე აქვს უფლებამოსილება საკუთარი ინიციატივით გადაწყვიტოს ნებისმიერი საკითხი, რომლის გადაწყვეტაც საქართველოს კანონმდებლობით არ არის ხელისუფლების სხვა ორგანოს უფლებამოსილება და აკრძალული არ არის კანონით **(ნებაყოფლობითი უფლებამოსილება).** მუნიციპალიტეტი უფლებამოსილია განახორციელოს ღონისძიებები დასაქმების ხელშეწყობის, სოფლის მეურნეობის მხარდაჭერის, ტურიზმის განვითარების, სოციალური დახმარების მიზნით, სახელმწიფო პოლიტიკის გამტარებელ ორგანოსთან კოორდინაციით – ჯანმრთელობის დაცვის მიზნით, აგრეთვე ადგილობრივ **დონეზე ახალგაზრდული პოლიტიკის განვითარების ხელშეწყობის,** ბავშვის დაცვისა და მხარდაჭერის, მასობრივი სპორტის ხელშეწყობის, გარემოს დაცვის, საზოგადოებრივი განათლების, გენდერული თანასწორობის ხელშეწყობის, ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის პრევენციის, ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების, ადგილობრივი მნიშვნელობის არქივის წარმოების, ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრების, ადამიანის ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს შექმნის, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ინვესტიციების მოზიდვის, ინოვაციური განვითარების მხარდაჭერის და სხვა მიზნებით. [10]

მუნიციპალიტეტის ორგანოები და მუნიციპალიტეტის ორგანოების თანამდებობის პირები ვალდებულნი არიან, ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის უზრუნველსაყოფად შექმნან ორგანიზაციული და მატერიალურ-ტექნიკური პირობები მოქალაქეთა მიღების, მოქალაქეებთან შეხვედრების, მუნიციპალიტეტის ორგანოების საქმიანობაში, მათ შორის, კოლეგიური საჯარო დაწესებულების სხდომებში, მოქალაქეთა მონაწილეობისა და გადაწყვეტილებათა მიღების პროცესის გამჭვირვალობისთვის. ნებისმიერ პირს აქვს უფლება, ადგილობრივი

[9] იქვე, მუხლი 17;

[10] იქვე, მუხლი 16;

თვითთმართველობის კოდექსით, საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტებითა და მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტებით განსაზღვრულ ფარგლებში და დადგენილი წესით, შეუზღუდავად ისარგებლოს ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის ფორმებით. ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის ფორმებია:

ა) დასახლების საერთო კრება;
ბ) პეტიცია;
გ) სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო;
დ) მუნიციპალიტეტის საკრებულოს და მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიის სხდომებში მონაწილეობა;
ე) მუნიციპალიტეტის მერის და მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშების მოსმენა.

მუნიციპალიტეტი უფლებამოსილია, ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის ამ კანონით განსაზღვრული ფორმების გარდა, შესაბამისი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვროს ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის სხვა ფორმები, რომლებიც არ ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობას. [11]

მუნიციპალიტეტის ორგანოები ვალდებულნი არიან, საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ შემთხვევებში და დადგენილი წესით გამოაქვეყნონ მიღებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები, მათი პროექტები და სხვა საჯარო ინფორმაცია. მუნიციპალიტეტის ორგანოები აგრეთვე ვალდებულნი არიან, ამ კანონით განსაზღვრული უფლებამოსილების შესაბამისად, გამოაქვეყნონ ან/და საჯაროდ გამოაცხადონ:

ა) მუნიციპალიტეტის საკრებულოს, მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიისა და მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს, აგრეთვე მთავრობის სხდომების ოქმები, შესაბამისი სხდომის გამართვიდან 10 დღის ვადაში;
ბ) სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს სხდომების ოქმები, შესაბამისი სხდომის გამართვიდან 10 დღის ვადაში;
გ) დასახლების საერთო კრების ოქმები, მერიის მიერ შესაბამისი ოქმის ან მისი ასლის მიღებიდან 10 დღის ვადაში;
დ) ამ კანონის შესაბამისად, ინფორმაცია დასახლების საერთო კრების დღის წესრიგის და გამართვის თარიღის, დროისა და ადგილის შესახებ;
ე) საანგარიშო წლის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში, მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის მისი წარდგენიდან 10 დღის ვადაში;
ვ) მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროექტი;
ზ) მუნიციპალიტეტის საპრივატიზებო ობიექტების ნუსხა, მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ მისი დამტკიცებიდან 10 დღის ვადაში;

---

[11] იქვე, მუხლი 85;

თ) მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების გეგმა, მისი დამტკიცებიდან 10 დღის ვადაში;
ი) მუნიციპალიტეტის მერის და მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ამ კანონით გათვალისწინებული ანგარიშები, შესაბამისი ანგარიშის წარდგენიდან 10 დღის ვადაში;
კ) პეტიცია, მისი რეგისტრაციიდან 10 დღის ვადაში;
ლ) ამ კანონის 51-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული წერილობითი ინიციატივა, მისი რეგისტრაციიდან 10 დღის ვადაში. [12]

მუნიციპალიტეტის საკრებულოს და მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიის, აგრეთვე მთავრობის სხდომები საჯაროა, გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ნებისმიერ პირს აქვს უფლება, წინასწარი შეტყობინების ან/და წინასწარი ნებართვის გარეშე დაესწროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს და მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიის საჯარო სხდომებს. მუნიციპალიტეტის საკრებულოს და მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიის საჯარო სხდომებზე დასწრების მსურველთათვის სხდომათა დარბაზში ადგილები უნდა იყოს გამოყოფილი. თუ სხდომაზე დასწრების მსურველთა რაოდენობა აღემატება მათთვის სხდომათა დარბაზში გამოყოფილი ადგილების რაოდენობას, მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატი ვალდებულია უზრუნველყოს მის ხელთ არსებული იმ ტექნიკური საშუალებების გამოყენება, რომლებიც სხდომაზე დასწრების მსურველებს სხდომის მსვლელობის მოსმენის საშუალებას მისცემს. მუნიციპალიტეტის საკრებულოს და მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიის საჯარო სხდომებზე დამსწრე პირებს უფლება აქვთ, წინასწარი ნებართვის გარეშე, მაგრამ მხოლოდ სხდომის თავმჯდომარის თანხმობის შემთხვევაში, მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტით დადგენილი წესით დაუსვან შეკითხვები მომხსენებელს და თანამომხსენებელს, გააკეთონ განმარტება და განცხადება, წარადგინონ ინფორმაცია. [13]

რაც შეეხება მუნიციპალიტიტეტის ბიუჯეტს, ეს არის შესაბამისი მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დამტკიცებული, მუნიციპალიტეტის ფუნქციებისა და ვალდებულებების შესრულების მიზნით მისაღები შემოსულობების, გასაწევი გადასახდელებისა და ნაშთის ცვლილების ერთობლიობა. [14]

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტისთვის გამოსაყოფი ტრანსფერის სახეებია:

ა) კაპიტალური ტრანსფერი;
ბ) მიზნობრივი ტრანსფერი;
გ) სპეციალური ტრანსფერი.[15]

**კაპიტალური ტრანსფერი** გამოიყოფა კაპიტალური პროექტის განსახორციელებლად. კაპიტალური ტრანსფერი არის სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკურ და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტებს შორის გაწეული ფინანსური დახმარება, რომელიც

[12] იქვე, მუხლი 85[1];
[13] იქვე, მუხლი 87;
[14] იქვე, მუხლი 89;
[15] იქვე, მუხლი 94;

დაკავშირებულია ტრანსფერის მიმღების არაფინანსური აქტივების ზრდასთან. მუნიციპალიტეტმა კაპიტალური ტრანსფერი შესაძლებელია გამოყოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი ხმარდება ტრანსფერის გამცემი მუნიციპალიტეტის მიზნებს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული საკუთარი უფლებამოსილებების ფარგლებში. კაპიტალური ტრანსფერის გამოყოფის მოთხოვნაში აღინიშნება კაპიტალური ტრანსფერის გამოყოფის მოთხოვნის საფუძველი და ტრანსფერის მოცულობა.[16]

**მიზნობრივი ტრანსფერი** გადაეცემა ერთი ბიუჯეტიდან სხვა ბიუჯეტს დელეგირებული უფლებამოსილების ფინანსური უზრუნველყოფისათვის. მიზნობრივი ტრანსფერი შეიძლება გადაეცეს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან მუნიციპალიტეტის ბიუჯეტს, ასევე ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტიდან შესაბამისი მუნიციპალიტეტის ბიუჯეტს. [17]

**სპეციალური ტრანსფერი** გამოიყოფა სტიქიური მოვლენების, ეკოლოგიური და სხვა სახის კატასტროფების, საომარი მოქმედებების, ეპიდემიების და სხვა საგანგებო სიტუაციების შედეგების (ზიანის) სალიკვიდაციოდ, აგრეთვე სხვა ღონისძიებების განსახორციელებლად. სპეციალური ტრანსფერის გამოყოფის შესახებ მიმართვაში აღინიშნება სპეციალური ტრანსფერის გამოყოფის მოთხოვნის საფუძველი და ტრანსფერის მოცულობა. სპეციალური ტრანსფერის გამოყოფის შესახებ წინადადების წარდგენა შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ღონისძიებების დასაფინანსებლად შესაბამისი მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდი არასაკმარისია. [18]

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში გაუთვალისწინებელი გადასახდელების დასაფინანსებლად იქმნება **სარეზერვო ფონდი,** რომლის მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს წლიური ბიუჯეტით გათვალისწინებული ასიგნებების საერთო მოცულობის 2 პროცენტს. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან თანხას მუნიციპალიტეტის მერის გადაწყვეტილების საფუძველზე, რომელიც შეიცავს ინფორმაციას თანხის ოდენობისა და მიზნობრიობის შესახებ, გამოყოფს მერიის შესაბამისი სტრუქტურული ერთეული.[19]

ბიუჯეტით განსაზღვრული პრიორიტეტების მიზნების მისაღწევად განსახორციელებელი ღონისძიებების ერთობლიობა, რომლებიც დაჯგუფებულია მსგავსი შინაარსის მიხედვით, ხორციელდება ერთი საბოლოო შედეგის მისაღწევად. **პროგრამის** განხორციელებაზე საერთო პასუხისმგებლობა ეკისრება მხარჯავ დაწესებულებას და მისი განმახორციელებელი შესაძლებელია იყოს მხოლოდ მხარჯავი დაწესებულება ან მის სისტემაში შემავალი/კონტროლს დაქვემდებარებული საბიუჯეტო ორგანიზაცია. პროგრამა შეიძლება დაყოფილი იყოს **ქვეპროგრამებად.** ქვეპროგრამა არის კონკრეტული მიმართულების ღონისძიებების ერთობლიობა, რომელიც უმრავლეს შემთხვევაში ძირითად მიზნად ისახავს პროგრამის შუალედური შედეგის მიღწევას. **ღონისძიება** არის

---

[16] იქვე, მუხლი 96;

[17] იქვე, მუხლი 97;

[18] იქვე, მუხლი 98;

[19] მუხლი 99;

შედარებით მცირე მასშტაბის მქონე აქტივობა ქვეპროგრამის ფარგლებში. აღნიშნული აქტივობების განხორციელება ხელს უწყობს ქვეპროგრამის განხორციელებას და შესაბამისი შედეგების მიღწევას. წლიური ბიუჯეტით უმეტეს შემთხვევაში განისაზღვრება პროგრამები და ქვეპროგრამები, ხოლო ის ღონისძიებები, რომელთა გატარებაც აუცილებელია მათ მისაღწევად, უმეტეს შემთხვევაში თავისი შინაარსით ვიწრო და დეტალურია, უნდა წარმოადგენდეს შესაბამისი მხარჯავი დაწესებულებების სექტორული სტრატეგიის სამოქმედო გეგმის ნაწილს .

საქართველოს ფინასთა მინისტრის ბრძანება პროგრამული ბიუჯეტის შედგენის მეთოდოლოგიის დამტკიცების თაობაზე ადგენს იმ მოთხოვნებს, რასაც უნდა აკმაყოფილებდეს ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ შედგენილი წლიური ბიუჯეტი და მისი დანართები. **წლიური ბიუჯეტი** დგება საქართველოს ცენტრალური, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი ხელისუფლებების ფუნქციებისა და ვალდებულებების შესრულების მიზნით და მასში ასახულია მისაღები შემოსულობების, გასაწევი გადასახდელებისა და ნაშთის ცვლილების ერთობლიობა, რომელიც დამტკიცებულია საქართველოს ცენტრალური, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი ხელისუფლებების შესაბამისი ორგანოების მიერ; **საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმა** არის ბიუჯეტით განსაზღვრული პრიორიტეტების ფარგლებში საშუალოვადიან პერიოდში (4-წლიანი პერიოდი) განსახორციელებელი პროგრამებით/ქვეპროგრამებით გათვალისწინებული ღონისძიებების შესახებ დოკუმენტი, რომელიც მოიცავს აღნიშნული ღონისძიებების აღწერას, დასაბუთებას, ინფორმაციას განმახორციელებლის და განხორციელების ვადების შესახებ, ასევე, არსებული ან/და საჭირო დაფინანსების მოცულობას, მოსალოდნელ შედეგებს და შესრულების შეფასების ინდიკატორებს. **ხარჯთაღრიცხვა** არის საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული განსახორციელებელი ღონისძიებების განფასება, აღნიშნული ღონისძიებების განსახორციელებლად საჭირო რესურსების და შესაძლო დაფინანსების მოცულობის განსაზღვრა. მოსალოდნელი **საბოლოო შედეგი (outcome**) – წარმოადგენს პროგრამების შედეგს, ეს არის მდგომარეობა, რომელიც წინასწარ დაგეგმილი და გაანალიზებული პოლიტიკის განხორციელების შედეგად უნდა დადგეს. **მოსალოდნელი შუალედური შედეგი (output)** – წარმოადგენს პროგრამის/ქვეპროგრამის ფარგლებში გასატარებელი ღონისძიებების განხორციელების შედეგად მიღებულ პროდუქტს. ის ბევრად უფრო კონკრეტულია, ვიდრე საბოლოო შედეგი და წარმოადგენს არა პროგრამის დასრულების ნიშანს, არამედ მისი საბოლოო მიზნის მიღწევისკენ გადადგმულ ნაბიჯების შედეგებს და ზომავს ამ გზაზე მიღწეულ პროგრესს. **შესრულების შეფასების ინდიკატორი** – შედეგის მიღწევა გამოსახული გაზომვად (რაოდენობრივი ან/და ხარისხობრივი) მაჩვენებლებში, განსაზღვრავს პროგრამის/ქვეპროგრამის/ღონისძიების განხორციელების ეფექტიანობას.[20]

---

[20] საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება № 385 , 2011 წლის 8 ივლისი, ტერმინთა განმარტება;

## 9. მარნეულის 2022 წლის ბიუჯეტი ახალგაზრდულის საკითხების შესახებ

მარნეულის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის შემოსავლები 51119,5 ლარს შეადგენს, აქედან საკუთარ შემოსავლებს წარმოადგენს 42405,1 ლარი, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან მიღებულ შემოსავალს - 8714,3 ლარი. რაც შეეხება კონკრეტულად ახალგაზრდების საჭიროებებს, ამ ტიპის ხარჯები გვხვდება **0500** პროგრამული კოდით აღნიშნული საბიუჯეტო პრიორიტეტის ქვეშ (კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი), კერძოდ 0501 (სპორტის ფსეროს განვითარება), 0502 (კულტურული სფეროს განვითარება) და 0503 (ახალგაზრდობის მხარადჭერა) პროგრამებში. პრიორიტეტში აღნიშნულია, რომ აუცილებელია ხელი შეეწყოს კულტურული ტრადიციების დაცვას და ღირსეულ გაგრძელებას. ამასთანავე, ერთ-ერთი პრიორიტეტია ახალგაზრდების განვითარების ხელშეწყობა და მათში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება. შესაბამისად, მუნიციპალიტეტი განაგრძობს სპორტული და კულტურული ობიექტების ფინანსურ მხარდაჭერას, წარმატებული სპორტსმენების ხელშეწყობას და შესაბამისი პირობების შექმნას, რათა ნიჭიერმა ბავშვებმა და ახალგაზრდებმა შეძლონ მათი სპორტული შესაძლებლობების გამოვლენა. ასევე ხელს უწყობს ახალგაზრდებში ცხოვრების ჯანსაღი წესის წახალისების მიზნით, გასატარებელ ღონისძიებებს, დემოკრატიის გზით გადაწყვეტილების მიღების პროცესში მოქალაქეთა ჩართულობის უზრუნველყოფას.

ბიუჯეტში აღნიშნულია, რომ **0501** პროგრამის ფარგლებში განხორციელდება სხვადასხვა სპორტული ორგანიზაციების და კლუბების ფინანსური მხარდაჭერა, რათა მათ ჰქონდეთ შესაძლებლობა უზრუნველყონ სპორტსმენებისათვის სავარჯიშოდ შესაბამისი პირობების შექმნა და ნიჭიერი სპორტსმენების წახალისება. პროგრამის აღწერაში მითითებულია, რომ 2022 წლის განმავლობაში პროგრამის ფარგლებში გაიმართება სხვადასხვა სპორტული შეჯიბრებები და დაფინანსდება: სპორტული სკოლა, რომელიც აერთიანებს 1600 სპორტსმენს; პროგრამის ფარგლებში მოხდება სპორტული ობიექტების მოვლა–პატრონობა და რეაბილიტაცია.

**050101** ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია სპორტული დაწესებულებების ხელშეწყობა (ჯამური ბიუჯეტით 2059,7), ქვეპროგრამის აღწერაში მოცემულია, რომ ააიპ "სპორტული სკოლა" - უზრუნველყოფს სპორტული სექციების მუშაობას 21 სპორტის სახეობის მიმართულებით 30 სპორტულ ობიექტზე 65 მწვრთნელის მეშვეობით, რომლებიც ემსახურებიან სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფის (12 დან - 25 წლამდე) 2000-ზე მეტ ბენეფიციარს. გახსნილია სპორტული წრეები შემდეგი მიართულებით: ქართული ჭიდაობა, ჭადრაკი, ფეხბურთი, მხატვრული ტანვარჯიში, ძიუდო, კალათბურთი. თავისუფალი ჭიდაობა, ტაიკვანდო, კიკ-ბოქსინგი, კრივი, აკრობატიკა, ძალისმიერი სამჭიდი, ბატუტზე ხტომა, ათლეტიზმი, მკლავჭიდი, მშვილდოსნობა, ფრენბურთი, ჯიუ-ჯიცუ, რაგბი, კარატე. სკოლა გეგმავს და ახორციელებს სპორტულ ღონისძიებებს, როგორც სამოყვარულო ასევე პროფესიული სპორტის მიმართულებით ყველა ასაკობრივ ჯგუფში; სკოლა გეგმავს და ახორციელებს ღონისძიებებს ჯანსაღი ცხოვრების წესის

მიმართულებით, ასევე ხელს უწყობს მის დანერგვასა დაპოპულარიზაციას; სკოლა ხელს უწყობს წარმატებულ სპორტსმენებს და ახორციელებს მათ სტიპენდირებას, ასევე უზრუნველყოფს ცენტრში სპორტულ სექციებზე მოსიარულეთა სპორტულ ღონისძიებებში მონაწილეობას, როგორც ქვეყნის შიგნით ასევე მის ფარგლებს გარეთ. სპორტსკოლა არეგულირებს ისეთ საკითხებს, როგორიცაა სკოლაში არსებული სპორტის სახეობების მიხედვით ქალაქის, ეროვნული ნაკრები გუნდების კანდიდატებისა და სელექციის მეშვეობით შერჩეული პერსპექტიული სპორტსმენების მზადების წლიური საწვრთნელი პროცესის ორგანიზება და ნაკრები გუნდებისათვის რეზერვის მომზადება. სპორტული ინვენტარის სპეციალური ფორმებისა და სპორტული აღჭურვილობის შეძენა. მწვრთნელთა ოსტატობის ამაღლების მიზნით სპორტსმენების ეროვნული და საერთაშორისო ტრენინგ სემინარებისა და სხვადასხვა ღონისძიებებში მონაწილეობის მიღება. სპორტსმენების ეროვნულ და საერთაშორისო ასპარეზზე გამოსვლისთვის სამივლინებო ხარჯების უზრუნველყოფა. ადგილობრივი სპორტული ღონისძიებების ორგანიზების და მოწყობის ხარჯები. სარაკბო კლუბ მარნეულის "არმაზის" ხელშეწყობა, რაგბის პოპულარიზაცია და სარაგბო საბავშვო სექციების განვითარება მუნიციპალიტეტის სხვადასხვა ადმინასტრაციულ ერთეულებში.

**050102** ქვეპროგრამის ქვეშ, რომლის ბიუჯეტის ჯამური ოდენობა შეადგენს 90.0 ლარს, ჯანსაღი ცხოვრების წესთან და სპორტის სახეობების დამატებასთან ერთად გათვალისწინებულია **ახალგაზრდების სპორტით დაინტერესების** კომპონენტი. ქვეპროგრამის მიზანია სპორტის პოლულარიზაცია და მასობრივი სპორტის მხარდაჭერა. ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრება, ახალგაზრდების სპორტით დაინტერესება. სპორტის სახეობების დამატება,

**050103** ქვეპროგრამა კი მოიაზრებს სპორტული ობიექტების აღჭურვას, რეაბილიტაციასა და მშენებლობას, რისთვისაც 2022 წელს გამოყოფილი იყო 1032,2 ლარი. ქვეპროგრამით გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტის სოფლებში 4 ახალი კომბინირებული მინი სტადიონის მოწყობა ორი სპორტული დარბაზის მშენებლობა და სამუშაოებზე ზედამხედველობის განხორციელება.

ბიუჯეტში აღნიშნულია, რომ **0502** პროგრამის ფარგლებში (ჯამური ბიუჯეტით 2594.0 ლარი) მუნიციპალიტეტის კულტურული ტრადიციების დაცვის მიზნით, პროგრამის ფარგლებში გაგრძელდება კულტურის სფეროს დაწესებულებების ფინანსური მხარდაჭერა, ასევე განხორციელდება სხვადასხვა კულტურული ღონისძიებები, მათ შორის სადღესასწაულო დღეებში სხვადასხვა გასართობი და სანახაობრივი ღონისძიებები. პროგრამის ფარგლებში მოხდება კულტურის სფეროს ობიექტების რეაბილიტაცია და რელიგიური ორგანიზაციების სუბსიდირება.

ქვეპროგრამა **050201**, სხვა მრავალ საქმიანობასთან ერთად (საერთო ბიუჯეტი 1522,4 ლარი) საუბრობს **ახალგაზრდა ნიჭიერი მწერლების შემოქმედების პოპულარიზაციისთვის პირობების შექმნაზე**, თუმცა კონკრეტულად ამ ღონისძიებისთვის რა თანხა გამოიყო ქვეპროგრამის ბიუჯეტიდან უცნობია. ქვეპროგრამის საერთო მიზანია კულტურის ცენტრის ფუნქციონირების ხელშეწყობა, სხვადასხვა კულტურული აქტივობების

ორგანიზება, მათ შორის ქალაქისა და ქვეყნის ღირსშესანიშნავი თარიღების აღნიშვნა. ქალაქის მოსახლეობისა თუ სტუმრებისათვის მრავალფეროვანი სანახაობის შეთავაზება. კულტურის ცენტრის მატერიალურ–ტექნიკური ბაზის შეთავაზება და მაქსიმალური მხარდაჭერა. ღვაწლმოსილ მოქალაქეთა განვლილი გზის განზოგადება და დაფასება (იუბილეები, შეხვედრები, ხსოვნისადმი მიძღვნილი ღონისძიებებიდა ა.შ.). ქართული კულტურის პოპულარიზაცია და მარნეულის როგორც ამ კულტურის ტრადიციის მატარებელი ქალაქის გაცნობა ქვეყნის გარეთ და რეგიონში. ქალაქში არსებული დიასპორების უშუალო ჩართულობა ქალაქის კულტურულ ცხოვრებაში და ერთობლივი ღონისძიებების ორგანიზება. მარნეულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების საქმიანობის კოორდინირება და დახმარების გაწევა, სახელოვნებო დარგების განვითარების ხელშეწყობა, პოპულარიზაცია. სოციალურად მნიშვნელოვანი პროექტების, სხვადასხვა მიმართულების შემოქმედებითი საქმიანობის უზრუნველყოფა. ინდივიდუალური შემსრულებლებისა და შემოქმედებითი კოლექტივების საქმიანობის ხელშეწყობა.

**050202** ქვეპროგრამა მოიაზრებს კულტურული ღონისძიებების ორგანიზებას (ჯამური ბიუჯეტი 491,6 ლარი), ქვეპროგრამა ითვალისწინებს საქართველოში არსებული და მარნეულის მუნიციპალიტეტისათვის დამახასიათებელ კულტურული(ნოვრუზ ბაირამი) ღონისძიებების სრულფასოვნად ჩატარებას (სასაჩუქრე კალათების, თაიგულების, გვირგვინების, დეკორაციების შეკვეთა - შესყიდვა).
ხოლო **050203** ქვეპროგრამის მიზანია კულტურის ობიექტების აღჭურვა რეაბილიტაცია, მშენებლობა (50,0 ლარი) ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია კულტურის ობიექტების მოვლა შენახვა, რეაბილიტაცია. და რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობა (530.0 ლარი), ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ეკლესია მონასტრების და მეჩეთების ფინანსური მხარდაჭერა.

**050204** - რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობა (530,0 ლარი) ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ეკლესია მონასტრების და მეჩეთების ფინანსური მხარდაჭერა.

0503 პროგრამა (საერთო ბიუჯეტი 110,0 ლარი) სრულად ითვალისწინებს **ახალგაზრდობის მხარდაჭერას**, კერძოდ ახალგაზრდების სამოქალაქო მონაწილეობის ხელშეწყობას, მათთვის ჯანსაღი გარემოს შექმნას, თანასწორი შესაძლებლობების მინიჭებას, მათი დასაქმების ხელშეწყობას და ახალგაზრდული საქმიანობის განვითარების ხელშეწყობას, როგორც აღნიშნულ პროგრამაშია მითითებული, ღონისძიებები უნდა განხორციელებულიყო როგორც ფორმალურ, ისე არაფორმალურ ფორმატში. პროგრამის მიზანი და შედეგები ბიუჯეტის თანახმად უნდა ყოფილიყო, ახალგაზრდობის მხარდამჭერი და ინსტიტუციურად ჩამოყალიბებული სისტემის შექმნა, რომელიც უზრუნველყოფდა ახალგაზრდების მონაწილეობას გადაწყვეტილების მიღების პროცესში, არაფორმალური განათლების და ინფორმაციის ხელმისაწვდომობას, უსაფრთხო და ჯანსაღი გარემოს შექმნასა და თანაბარ შესაძლებლობებს. საკრებულოს მიერ დამტკიცებული „ინიციატივების თანადაფინანსების და ახალგაზრდული იდეების განხორციელების წესი“-ს შესაბამისად უნდა გამოცხადებულიყო ახალგაზრდული

იდეების კონკურსი, ადგილობრივი საინიციატივო ორგანიზაციების, ახალგაზრდული ჯგუფების და აქტიური ახალგაზრდების მიერ წარმოდგენილი პროექტების დასაფინანსებლად. მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დამტკიცებული „მარნეულის საკრებულოს ტერიტორიაზე რეგისტრირებული სტუდენტებისათვის მგზავრობის ხარჯებით დახმარების წესისა და მარნეული მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული წარმატებული სტუდენტების წახალისების წესის“ შესაბამისად, სტუდენტებისთვის წახალისების მიზნით, გათვალისწინებულია მერის ჯილდო და თვითმმართველობის მიერ უნდა განხორციელებულიყო აკრედიტებულ უმაღლეს სასწავლებლებში აქტიური სტუდენტების სტატუსის მქონე სტუდენტების ტრანსპორტირების ხარჯების უზრუნველყოფა. [21]

## 10. 2023 წლის ბიუჯეტი ახალგაზრდულ საკითხებთან დაკავშირებით

რაც შეეხება 2023 წლის ბიუჯეტს, ის შეადგენს 46556,3 ლარს. კულტურის, ახალგაზრდობისა და სპორტის (**კოდი 05 00**) პრიორიტეტის აღწერა წინა წლის მსგავსია.

**0501** პროგრამა (5569,0 ლარის ოდენობით) მიუთითებს, რომ პროგრამის ფარგლებში განხორციელდება სხვადასხვა სპორტული ორგანიზაციების და კლუბების ფინანსური მხარდაჭერა, რათა მათ ჰქონდეთ შესაძლებლობა უზრუნველყონ სპორტსმენებისათვის სავარჯიშოდ შესაბამისი პირობების შექმნა და ნიჭიერი სპორტსმენების წახალისება. 2023 წლის განმავლობაში პროგრამის ფარგლებში გაიმართება სხვადასხვა სპორტული შეჯიბრებები და დაფინანსდება: სპორტული სკოლა, რომელიც აერთიანებს 1400 სპორტსმენს; პროგრამის ფარგლებში მოხდება სპორტული ობიექტების მოვლა–პატრონობა და რეაბილიტაცია.

**050101** ქვეპროგრამა (ბიუჯეტი 2050,0 ლარი), ააიპ "მარნეულის მუნიციპალიტეტის სპორტული სკოლა" - უზრუნველყოფს სპორტული სექციების მუშაობას 19 სპორტის სახეობის მიმართულებით, 33 სპორტულ ობიექტზე, 70 ჯგუფის და 64 მწვრთნელის მეშვეობით, რომლებიც ემსახურებიან სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფის (3 დან - 25 წლამდე) დაახლოებით 1400 ბენეფიციარს. გახსნილია სპორტული წრეები შემდეგი მიართულებით: ქართული ჭიდაობა, ძიუდო (საბავშვო ძიუდო), თავისუფალი ჭიდაობა, კრივი, ტაიკვანდო, კიკბოქსინგი, ფეხბურთი, რაგბი, კალათბურთი, ფრენბურთი, ბატუტზე ხტომა, მხატვრული ტანვარჯიში, სპორტული აკრობატიკა, მშვილდოსნობა, მკლავჭიდი, კარატე, ჭადრაკი, ძალისმიერი სამჭიდი, ბერძნულ-რომაული ჭიდაობა. 2023 წელს იგეგმება ორი სპორტის სახეობის, მძლეოსნობის და გოგონათა ფრენბურთის დაფუძნება მარნეულის მუნიციპალიტეში. სკოლა გეგმავს და ახორციელებს სპორტულ ღონისძიებებს, როგორც სამოყვარულო ასევე პროფესიული სპორტის მიმართულებით ყველა ასაკობრივ ჯგუფში; სკოლა გეგმავს და ახორციელებს ღონისძიებებს ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციის და სპორტის მასობრიობის მიმართულებით, ასევე ხელს უწყობს მის დანერგვასა და პოპულარიზაციას; სპორტული სკოლა, შესაძლებლობის ფარგლებში უზრუნველყოფს სპორტული ჯგუფების თანაბარ ხელმისაწვდომობას მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში. 18 ადმინისტრაციული ერთეულიდან მინიმუმ ერთი სპორტული ჯგუფი ფუნქციონირებს 13

[21] მარნეულის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტი;

ერთეულში. სპორტული სკოლა საქმიანობის ფარგლებში პრიორიტეტს ანიჭებს იმ სპორტის სახეობების გაფართოვებას, რომლებიც უკეთესად უზრუნველყოფენ გოგონებისა და ბიჭების შედარებით თანაბარ ჩართულობას.

**050102** (საერთო ბიუჯეტი 60.0) სპორტული ღონისძიებები გულისხმობს, ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას, ახალგაზრდების სპორტით დაინტერესებას. სპორტის სახეობების დამატებას.

**050103** - სპორტული ობიექტების აღჭურვა, რეაბილიტაცია, მშენებლობა (ბიუჯეტი 3459 ლარი) მოიაზრებს ქვეპროგრამით გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტის 3 სოფელში სპორტული დარბაზის მშენებლობას.

**0502** პროგრამა (ბიუჯეტით 2545.0ლარი) მოიაზრებს მუნიციპალიტეტის კულტურული ტრადიციების დაცვის მიზნით პროგრამის ფარგლებში კულტურის სფეროს დაწესებულებების ფინანსურ მხარდაჭერას, ასევე განხორციელდება სხვადასხვა კულტურული ღონისძიებები, მათ შორის სადღესასწაულო დღეებში სხვადასხვა გასართობი და სანახაობრივი ღონისძიებები. პროგრამის ფარგლებში მოხდება კულტურის სფეროს ობიექტების რეაბილიტაცია და რელიგიური ორგანიზაციების სუბსიდირება.

**050201** (ბიუჯეტი 1850.0 ლარი) განხორციელდება სხვადასხვა კულტურული აქტივობების ორგანიზება, მათ შორის ქალაქისა და ქვეყნის ღირსშესანიშნავი თარიღების აღნიშვნა. ქალაქის მოსახლეობისა თუ სტუმრებისათვის მრავალფეროვანი სანახაობის შეთავაზება. კულტურის ცენტრის მატერიალურ–ტექნიკური ბაზის შეთავაზება და მაქსიმალური მხარდაჭერა.

**050202** (ბიუჯეტი 275,0 ლარი) ქვეპროგრამა ითვალისწინებს საქართველოში არსებული და მარნეულის მუნიციპალიტეტისათვის დამახასიათებელ კულტურული (ნოვრუზ ბაირამი) ღონსძიებების სრულფასოვნად ჩატარებას (სასაჩუქრე კალათების, თაიგულების, გვირგვინების, დეკორაციების შეკვეთა - შესყიდვა).

**050204** – (420.0 ლარი) ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ეკლესია მონასტრების და მეჩეთების ფინანსური მხარდაჭერა.

**0503** პროგრამული კოდით ახალგაზრდების მხარდაჭერისთვის გათვალისწინებულია 110.0 ლარი და გულისხმობს ახალგაზრდულ საქმეთა მიმართულებით მუშაობას შემდეგ პრიორიტეტულ საკითხებზე: ახალგაზრდების სამოქალაქო მონაწილეობა მათთვის ჯანსაღი გარემოს შექმნა, თანასწორი შესაძლებლობები მინიჭება, მათი დასაქმებისა და ახალგაზრდული საქმიანობის განვითარების ხელშეწყობა. ღონისძიებების განხორციელდება როგორც ფორმალურ, ისე არაფორმალურ ფორმატში.[22]

არსებული მონაცემების შედარებით ცხადი ხდება, რომ უშუალოდ ახალგაზრდების საჭიროების საბიუჯეტო ხაზის გაზრდას ადგილი არ ჰქონია, ასევე შემცირდა ცხოვრების ჯანსაღი წესის ხელშეწყობისთვის გამოყოფილი ბიუჯეტი, **თუმცა მნიშვნელოვნად გაიზარდა (ფაქტობრივად გასამმაგდა) სპორტული ობიექტების აღჭურვა, მშენებლობა, რეაბილიტაციის ქვეპროგრამისთვის განკუთვნილი ხარჯი, ასევე მცირედ გაიზარდა კულტურული ღონისძიებების ორგანიზების ქვეპროგრამის დაფინანსება, რაც**

[22] 2023 წლის მერნეულის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი;

**ახალგაზრდების საჭიროებებსაც მოემსახურება.** მიუხედავად ამისა, მნიშვნელოვანია შემდგომი წლების ბიუჯეტში განხორციელდეს 0503 პროგრამის ხარჯების გაზრდა და ახალგაზრდების საჭიროებების უფრო ფართოდ წარმოდგენა მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში.

მარნეულის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის საქმიანობისს შეფასებისთვის ახალგაზრდებთან დაკავშირებით და ახალგაზრდების ჩართულობის შესაფასებლად ადგილობრივი ბიუჯეტის დაგეგმვის პროცესში, მნიშვნელოვანია გავეცნოთ თვითმმართველობის ინდექსის ელექტრონულ პლატფორმაზე არსებულ მონაცემებს. ელექტრონული პლატფორმის მიხედვით, 2021 წელს ადგილობრივი თვითთმართველობაში მოქალაქეთა მონაწილეობისა და თვითმმართველობის კუთხით მონაცემების ნაწილი ასე გამოიყურება:

- მოქალაქეთა მონაწილეობის უზრუნველყოფის მიზნით, მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში შესაბამისი პროგრამის არსებობა - 0%;
- სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოსთვის განსახილველად აუცილებელი საკითხების/დოკუმენტების წარდგენა - 0%;
- სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს ინფორმაციული მხარდაჭერა 0%
- დასახლების საერთო კრების ფუნქციონირება - 0%;
- მუნიციპალიტეტის მიერ კანონმდებლობის მიღმა დადგენილი მოქალაქეთა მონაწილეობის დამატებითი ფორმების გამოყენება - 0%;
- მერის საქმიანობის ანგარიშების მოსმენა - 0%;
- საკრებულოს საქმიანობის ანგარიშების მოსმენა - 0%;[23]

რაც შეეხება 2023 წლის ბიუჯეტის პროექტს, პროგრამული ანგარიშში ახალგაზრდული საკითხებისთვის იგივე ხარჯებია გათვალისწინებული (110 000 ლარი).

## 11. ჩაღრმავებული ინტერვიუები

### 11.1. ახალგაზრდების ინფორმირება ბიუჯეტში მათთვის გათვალისწინებული ხარჯების შესახებ და მათი დაფინანსების საკითხები

გამოკითხულ რესპონდენტთა დაახლოებით ნახევარს სმენია ადგილობრივი თვითმმართველობის ბიუჯეტში ახალგაზრდების საჭიროებებისთვის გათვალისწინებული საბიუჯეტო ხაზის შესახებ. ამ ჯგუფიდან ნაწილს უსარგებლია კიდეც გარკვეული მატერიალური მხარდაჭერით, როგორიცაა იდეების კონკურსში მონაწილეობა, ცალკეულ კულტურულ ან სპორტულ აქტივობაში ჩართვა ან სტუდენტებისთვის ტრანსპორტის ხარჯის დაფინანსება. გამოკითხულთა მეორე ნახევარმა აღნიშნა, რომ არანაირი ინფორმაცია არ აქვს ახალგაზრდების საჭიროების ხარჯების ადგილობრივ ბიუჯეტში გათვალისწინების შესახებ, თუმცა შემდგომი საუბრისას გაირკვა, რომ მათგან ბევრს სმენია კონკრეტული პროგრამების თაობაზე. რესპონდენტთა მცირე ჯგუფს არც ცალკეული სერვისების შესახებ აქვს ინფორმაცია და არც ამგვარი შესაძლებლობებით სარგებლობის ინტერესი და საჭიროება აქვს. ის რესპონდენტებიც, რომელთათვისაც ცნობილია თვითმმართველობის მხრიდან მხარდაჭერილი მიმართულებების დაფინანსების შესაძლებლობის შესახებ, აცხადებენ, რომ ბიუჯეტში გათვალისწინებული ხარჯები მიზერულია და ვერ უზრუნველყოფს თუნდაც იმ

[23] http://www.lsgindex.org/ge/cityanalyse/viewcityanalyse/48/?est_obj_id=3

საჭიროებების დაფარვას, რაც ცალკეული მიმართულებით არსებობს (მაგ. სტუდენტთა ტრანსპორტის უზრუნველყოფასთან დაკავშირებით), რომ არაფერი ვთქვათ იმ უამრავ სხვა ახალგაზრდულ პრიორიტეტზე, რაც ადგილობრივი თვითმმართველობის ყურადღების მიღმა რჩება.

***რესპონდენტი #1:*** *„მსმენია იმის შესახებ, რომ „ტაიკვანდოს" წრე იყო, განცხადება ვნახე და მინდოდა ჩემი შვილის მიყვანა, მაგრამ ვერ მოვახერხე ,თუმცა ვიცი, რომ იყო უფასოდ. დიდი ალბათობით მუნიციპალიტეტის დაფინანსებით. როგორც ვიცი მსგავს პროგრამებს მუნიციპალიტეტი აფინანსებს."*

***რესპონდენტი #2:*** *„ხანდახან ერთ დღიან კულტურულ ღონისძიებებს ატარებენ კულტურის სახლში, თუ რამე განსაკუთრებული დღეებია, მაგალითად თავისუფლების დღე."*

***რესპონდენტი #3:*** *„დამატებით ვითხოვდით ახალგაზრდული სივრცეების დაფინანსებას, სხვადასხვა კულტურული წრეების გახსნას სოფლებში, რომელიც მხოლოდ რამდენიმე სოფელშია, მაგრამ სამწუხაროდ არ გაუთვალისწინებიათ. რასაც თვითონ თვლიან საჭიროდ იმას ითვალისწინებენ ბიუჯეტში და მერე ჭირს ცვლილებები."*

***რესპონდენტი #4:*** *„რა ნაწილი ეთმობა ახალგაზრდებს და მათ საჭიროებებს, ამასთან დაკავშირებით მეც მაქვს კითხვები და არა მგონია პასუხობდეს ახალგაზრდების საჭიროებებს."*

რესპონდენტთა ნაწილმა განაცხადა, რომ მართალია მათთვის ხელმისაწვდომია ინფორმაცია ბიუჯეტიდან სტუდენტთა ტრანსპორტით უზრუნველყოფის ხარჯებში თანამონაწილეობის, სპორტ სკოლის მხარდაჭერისა და კულტურის სახლის დაფინანსების შესახებ, თუმცა თავის მხრივ მერია არ არის აქტიური აღნიშნული ინფორმაციის გავრცელებასა და ყველა ადგილობრივისთვის თანაბარი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაში, განსაკუთრებით პრობლემას წარმოადგენდა ეს საკითხი იმ ადამიანებისთვის, რომლებსაც არ აქვთ ინტერნეტთან წვდომობა და არ ფლობენ სახელმწიფო ენას, რაც ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონში მოსახლეობის საკმაოდ დიდი ნაწილს მოიცავს. გამოკითხული ახალგაზრდებისა და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენელთა დიდმა ნაწილმა ასევე განაცხადა, რომ იმ შემთხვევებშიც, როდესაც მოქალაქეები თვითონ მიმართავენ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს ცალკეული ინიციატივით ან იდეით, თვითმმართველობა არ არის განწყობილი სათანამშრომლოდ, ხშირად აქვს ადგილი განცხადებებზე პასუხის დაგვიანებას, რიგ შემთხვევებში განმცხადებლებს ლოდინი რამდენიმე თვეც კი უწევთ, ყოფილა შემთხვევა, როდესაც მოქალაქის წერილობითი განცხადების მოძიება საერთოდ ვეღარ მოხერხდა და მის ავტორს დიდი ძალისხმევა დასჭირდა ზეპირი პასუხის მისაღებად. ადგილობრივი სამოქალაქო ორგანიზაციების წარმომადგენლები იმასაც აცხადებენ, რომ თვითმმართველობის წარმომადგენლებს აღიზიანებთ აქტიური ახალგაზრდები, მათ საფრთხედ აღიქვამენ და ძირითადად ახალგაზრდების საჭიროებების მიმართ მგრძნობელობა და ინიციატივები დამოკიდებულია ცალკეული თანამდებობის პირის სურვილზე, მის კეთილგანწყობაზე და შესაბამისად არ ატარებს სისტემურ ხასიათს.

***რესპონდენტი #1:*** *„ჩვენ გვინდოდა უბრალოდ ნებართვა, რომ სოფლის ტერიტორიაზე ფანჩატური გაგვეკეთებინა. ერთი წელია გასული, მერსაც შევხვდი, განცხადებაც*

*დავწერე, მაგრამ შედეგი არა გვაქვს. მასალა გვაქვს, არც უარს გვეუბნებიან, არც ნებას გვრთავენ და ძალიან ცუდ მდგომარეობაში ვარ.“*

***რესპონდენტი #2:*** *„ჩვენ მეზობელ სოფელში არის სახელმწიფო ბალანსზე არსებული ბინა, რომელიც არ ფუნქციონირებს, ერთი წელია მარნეულის მერიასთან ვლაპარაკობ, რომ თემის წევრებმა დავაარსოთ სათემო ცენტრი, ყველაფერს ჩვენ გავაკეთებთ, გვითხრეს ხუთ დღეში გეტყვითო, ხუთი დღეც გავიდა და გვითხრეს ჯერ-ჯერობით ჩვენ სხვა მიზნები გვაქვს, რომ სხვა რაღაც გავხსნათო და შენი და ჩვენი იდეა ერთმანეთს არ ემთხვევაო, მანამდე უფუნქციოდ იყო, ახლა სხვა მიზანი გაჩნდა. ერთ პროექტში მარნეულის მერიაში განცხადება დავწერე, მივედი და გავიგე რომ განცხადება საერთოდ დაკარგულია.“*

***რესპონდენტი #3:*** *„ადგილობრივი თვითმმართველობა ამ თვალსაზრისით არის ძალიან პასიური, ამ კუთხით არ ხდება ახალგაზრდების ინფორმირება რაც პირიქით საჭიროა.“*

***რესპონდენტი #4:*** *„აქტიურ ახალგაზრდებსაც პოტენციურ საფრთხედ აღიქვამენ. აქტიური ახალგაზრდები ხშირად საუბრობენ პრობლემებზე და ეს არც უნდათ და არც აწყობთ ჩემი აზრით.“*

***რესპონდენტი #5:*** *„ჩვენს მეგობართან, სოფელში ერთი ძველი შენობაა სადაც რამდენიმე ოთახია და ერთ ოთახში მუშაობენ და ჩვენ გვინდა, რომ გავარემონტოთ ახალგაზრდული ცენტრისთვის. 8-9 თვეა ველოდებით და პასუხს არ გვეუბნებიან.“*

რესპონდენტების დიდი ნაწილი აცხადებს, რომ მართალია თვითმმართველობის ფარგლებში რამდენიმე წლის წინ შეიქმნა ახალგაზრდული საბჭო, რომელსაც ახალგაზრდების საჭიროებები უნდა მიეტანა ადგილობრივ თვითმმართველობამდე, თუმცა რეალურად საბჭოს ფუნქციონირება არ დაუწყია. ფაქტობრივად ისინი არ გადასულან სამუშაო რეჟიმზე, მხოლოდ სწავლება გაიარეს და რაიმე კონკრეტული ინიციატივა ან წინადადება საბჭოს წევრებს არ ჰქონიათ, არც რეგიონის ახალგაზრდებთან ჩაუტარებიათ რაიმე ტიპის შეხვედრები ან დისკუსია. როგორც საკრებულოს მმართველი პარტიის დეპუტატი განმარტავს, საბჭოს ფუნქციონირებას პანდემიის დაწყებამ და შეკრებების აკრძალვამ შეუშალა ხელი. იმ რესპონდენტებმა კი, რომლებიც იყვნენ აღნიშნული საბჭოს წევრები არ იციან მიზეზი რატომ ვეღარ გააგრძელა საბჭომ საქმიანობა. რესპონდენტები აღნიშნავენ, რომ ამ ტიპის საზოგადოებრივი ჩართულობის მცდელობებიც მხოლოდ მოჩვენებით ხასიათს ატარებს და ნომინალურია, რადგან თვითმმართველობის წარმომადგენლებს არ აქვთ მზადყოფნა რეალურად ითანამშრომლონ საზოგადოებასა და სამოქალაქო აქტივისტებთან და ნებისმიერ შემთხვევაში იმ გადაწყვეტილებებს იღებენ, რაც მათთვის არის სასურველი ან რასაც ცენტრალური ხელისუფლება მიუთითებს. საკრებულოში მმართველი პარტიის ერთ-ერთი წარმომადგენელი (კვლევის რესპონდენტი) თავის მხრივ აცხადებს, რომ ახალგაზრდები ადრე თავადაც უფრო აქტიურები იყვნენ და მეტად განწყობილნი თვითმმართველობასთან სათანამშრომლოდ, ახლა კი უფრო პასიურები არიან.

***რესპონდენტი #1****: „შემიძლია გითხრათ, რომ როცა მე ვიყავი (თანამდებობას ასახელებს), უფრო ბევრი აქტიურობა იყო ახალგაზრდებისგან და მეც და ახლა უკვე ვერ ვხედავ ამას. მაშინ მერიაში ყველა ათი ადამიანიდან ექვსი იყო ახალგაზრდა.*

*ახალაგაზრდული საბჭოს მუშაობაში პანდემიამ შეგვიშალა ხელი, შეკრება შეზღუდული იყო."*

***რესპონდენტი #2:*** *„ახალგაზრდული, შშმ პირთა საბჭო იქნება, გენდერული შეიძლება ითქვას წარმოსახვითია, უბრალოდ იმისთვის არის საჩვენებლად, რომ აგერ ჩვენთან რაღაცა კეთდება და ის ადამიანები სიმართლე, რომ გითხრათ არაფერი გადაწყვეტილების მიმღებები არ არიან. ისე არის დაკომპლექტებული, რომ თავიანთს გაიტანენ როცა რაღაცა სჭირდებათ და რეალური საქმე არ კეთდება."*

***რესპონდენტი #3:*** *„წარმოვადგენდი რამდენიმე სოფელს (ახალგაზრდულ საბჭოში) და მე უნდა მცოდნოდა ახალგაზრდების საჭიროებები. უბრალოდ მერე ისე მოხდა, მიზეზები არ ვიცი, ვეღარ გაგრძელდა. ბიუჯეტის განხილვაში მონაწილეობა არ მიგვიღია, ერთხელ შევიკრიბეთ, რაღაც ტრენინგი ჩატარდა - ლიდერის უნარებზე, მეორედ თავმჯდომარე აირჩიეს ჩვენგან, მერე უკვე ვეღარ ჩატარდა ეს შეხვედრები და მაგით დასრულდა ეს ყველაფერი."*

***რესპონდენტი #4:*** *„თუ ვინმე პიროვნება გამოჩნდება, მეტ-ნაკლებად აქტიური, ცდილობს რაღაცების გაკეთებას, მერე როგორც ყოველთვის, როგორც საჯარო მოხელეებს შეეფერებათ ხოლმე განსაკუთრებით რეგიონებში, თბილისიდან 1 ზარიც საკმარისია იმისთვის, რომ ყველაფერი იყოს ისე, როგორც თვითონ სჭირდებათ."*

***რესპონდენტი #5:*** *„მუნიციპალიტეტი ცდილობს აჩვენოს, რომ თითქოს ეს პროცესი არის გამჭვირვალე, მაგრამ საბოლოოდ რასაც ვხედავთ და რაც ჩანს არის ის, რომ უკვე კარგად იცის მუნიციპალიტეტის მერმა და საკრებულოს წევრებმა რა უნდა გაკეთონ, რას უნდა მიანიჭონ პრიორიტეტი შეიძლება ითქვას და „ხალხის ჩართულობა" არის მოჩვენებითი ყოველთვის. ეს საბჭოები რეალურად არის, მაგრამ არაფერს აკეთებს, შეხვედრებს არ მართავენ."*

კვლევის მონაწილეები საუბრობენ ასევე იმ ფაქტზე, რომ თვითმმართველობის მხრიდან ვერ ხდება ქალებისა და ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა თანასწორი ინტეგრირება არსებული სერვისებისა და შესაძლებლობების უზრუნველყოფის კუთხით. ისინი აცხადებენ, რომ მოქალაქეებს ხშირად ექმნებათ თვითმმართველობასთან ურთიერთობის ბარიერი სახელმწიფო ენის არცოდნის გამო, რაც ქმნის საფრთხეს იმისა, რომ ისინი შესაძლოა დარჩნენ კონკრეტულ სერვისს მიღმა ან ვერ მოახერხონ მათთვის მნიშვნელოვან და პრობლემურ საკითხზე საკრებულოსა და მერიისთვის ხმის მიწვდენა. რესპონდენტებმა აღნიშნეს, რომ ადრე თვითთმართველობაში დასაქმებული იყო თანამშრომელი, რომელიც აზერბაიჯანულენოვან მოსახლეობას ქართულ ენაზე განცხადების შედგენასა და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან კომუნიკაციაში ეხმარებოდა, თუმცა ახლა ამგვარი შესაძლებლობა აღარ არსებობს და ეს ეთნიკური უმცირესობების ინტეგრირების კუთხით უკან გადადგმული ნაბიჯია. აღინიშნა ასევე, რომ როგორც სხვადასხვა სერვისების, ისე ინფრასტრუქტურის მოწყობის მიმართულებით ქართულენოვან სოფლებში უკეთესი მდგომარეობაა და მარნეულიდან მოშორებულ აზერბაიჯანულენოვან სოფლებში ელემენტარული ყოფითი საკითხებიც მოსაგვარებელია, რაც ყველა ასაკის მოსახლეობას თანაბრად აწუხებს. საუბარია ისეთ ყოფით საკითხებზე, როგორიცაა სასმელი წყლის ხელმისავწდომობა, სოფელში საბავშვო ბაღის არსებობა (რისი სურვილი და საჭიროებაც როგორც აღინიშნა, განსაკუთრებით ქალებმა გამოთქვეს), გზების მოწყობა და ა.შ. საკრებულოს უმრავლესობის წევრის განმარტებით, რადგან რეალურად მარნეულში ქართული სოფლები მცირე რაოდენობით არის და

აზერბაიჯანული გაცილებით მეტია, რიგითობა ქართულ სოფლებს უფრო მალე უწევს და ამიტომ შესაძლოა აღმოჩნდეს რომ სამ აზერბაიჯანულ სოფელთან ერთად, ერთ ქართულ სოფელში განხორციელდა რაიმე ტიპის პროექტი, რაც საბოლოო ჯამში იწვევს იმ ფაქტს, რომ ქართულ სოფლებში რამდენიმე აზერბაიჯანულ დასახლებაზე სწრაფად ხდება კონკრეტული ინფრასტრუქტურილი გეგმების თუ სერვისების განხორციელება. კვლევის მონაწილეთა დაახლოებით მესამედი იზიარებს ხელისუფლების წარმომადგენლის პოზიციას და აცხადებს, რომ მათი დაკვირვებით ეთნიკური ნიშნით სხვაობა არ არის და მარნეულის მუნიციპალიტეტში ყველა ეროვნების მოქალაქეს თანაბარი შესაძლებლობები აქვს.

*რესპონდენტი #1: „კოვიდი როცა გავრცელდა, მარნეული და ბოლნისი ჩაიკეტა და მაშინ მთავრობამ გამოაცხადა, რომ ვინც დაკარგა სამსახური, თვითდასაქმებულებისთვის იქნება ერთჯერადი კომპენსაცია და კომპენსაცია იყო მხოლოდ ქართულ ენაზე, არ იყო აზერბაიჯანულ სომხურ ან სხვა ენაზე. ერთი ის რომ ინფორმაცია გავრცელდა ქართულ ენაზე და ამ ხალხმა არ იცის ქართული და მეორე მომენტი, უშუალოდ რეგისტრაცია სადაც ხდება, ხდებოდა მხოლოდ ქართულ ენაზე და რეგისტრაციისთვის ხალხს სჭირდებოდა: ინტერნეტი, კომპიუტერი, ქართულის ცოდნა და სოფლად მცხოვრები ხალხი ვინც ჩვენი ქვეყნის უმრავლესობას წარმოადგენენ და უმცირესობათა შემთხვევებში რეგიონებში მცხოვრები უფრო მეტია, ვიდრე ქალაქში მცხოვრები, შესაბამისად ვერ ახერხებდა ის ხალხი.“*

*რესპონდენტი #2: „აზერბაიჯანელები ბევრნი არიან და სულ აზერბაიჯანულ სოფლებს უნდა მივხედოთ და სანამ ქართული სოფლის დრო მოვა, ძალიან გვიან იქნება. განაწილება ხდება ისე, რომ ორი თუ აზერბაიჯანულ სოფელში კეთდება, ერთია ქართულ სოფელში და ქართული სოფლების რაოდენობა ვინაიდან ცოტაა, გამოდის რომ იქ ყველაფერი კეთდება და თუ ეთნიკური ნიშნით დავთვლით ამ ყველაფერს, მაშინ თანაბრად კეთდება.“*

*რესპონდენტი #3: „მარნეულში ეს არ არის (იგულისხმება სერვისებით სარგებლობისას ეთნიკური ნიშნით დისკრიმინაცია), იმიტომ, რომ მარნეულში მაინც მულტიკულტურული სივრცეა და შეიძლება გაითვალისწინონ, მაგრამ ის, რომ ეთნიკური უმცირესობები ძირითადად სოფლებში არიან და როგორც აზერბაიჯანელები, ასევე სომხები და ადგილზე არა გვაქვს ესეთი შესაძლებლობები და შემოთავაზებები ახალგაზრდებისთვის, ამ შემთხვევაში ნამდვილად პრობლემაა.“*

*რესპონდენტი #4: „18 თემია, აქედან უმრავლესობა აზერბაიჯანელები არიან. რომ ნახოთ, ყველა სოციალური პროექტი, ბაღები გინდა, მოედნები გინდა, ნებისმიერი სხვა გაზიფიკაციაც კი ყველაფერი იწყება იქიდან, საიდანაც უნდათ რომ დაიწყონ. ეთნიკურად ქართული სოფლებიდან.“*

*რესპონდენტი #5: „ვფიქრობ, რომ ერთ დონეზე ვართ ქართველები და აზერბაიჯანელები და არსად არ მიგრძნია, რომ ეთნიკური ნიშნით დავჩაგრულიყავი. მე ქართულ ენას ვფლობ და ალბათ ამის გამო ეგეთი შემთხვევა მე არ მქონია. ჩვენი სოფელი ეთნიკურად აზერბაიჯანელები არიან და ეგ პრობლემა აქ არ იგრძნობა. “*

როგორც აღვნიშნეთ, მართალია რესპონდენტთა შორის იყვნენ ახალგაზრდები, რომლებიც მიიჩნევენ, რომ ეთნიკურად ქართველ მოსახლეობას და აზერბაიჯანელ და სომეხ ახალგაზრდებს სერვისების ხელმისაწვდომობის, თვითმმართველობასა და ადგილობრივი

საკითხების გადაწყვეტის კუთხით თანაბარი შესაძლებლობები აქვთ, თუმცა უმრავლესობის აზრით, ამ ტიპის თანასწორობა უზრუნველყოფილი არ არის და ისინი მუდმივ სტუმრებად აღიქმებიან საქართველოში. რესპონდენტთა ნაწილმა ისაუბრა ისეთ განცხადებებზე ხელისუფლების წარმომადგენელთა მხრიდან, რომელიც ხელს არ უწყობს უმცირესობათა ინტეგრაციას და პირიქით ხაზს უსვამს მათ არასრულფასოვან მოქალაქეობას. მარნეულის მუნიციპალიტეტში მცხოვრებმა ეთნიკურად ქართველმა რესპონდენტებმაც კი აღნიშნეს, რომ უმცირესობებით დასახლებულ სოფლებში განსხვავებული მდგომარეობაა და ქართული სოფლები უფრო პრივილეგირებულნი არიან.

> ***რესპონდენტი #1:*** *„ამბობენ, რომ ეთნიკური უმცირესობები პატივს არ სცემენ ქართველებს, რა უნდა ქნან, დმანისის სოფლებში საერთოდ საბავშვო ბაღი არ არის, მარტო ქართულ სოფლებში არის საბავშვო ბაღები, ადამიანის განვითარება იწყება ადრეულ ასაკში და საბავშვო ბაღი თუ არ არის, როგორ უნდა ისწავლოს ბავშვმა.“*

> ***რესპონდენტი #2:*** *„ზოგადად ეგეთი მიდგომა აქვთ, რომ შიდა სტუმრები და მარადიული სტუმრები და ამას ადასტურებენ თავიანთი მოქმედებებით. არ თვლიან რომ არიან ამ ქვეყნის ღირსეული და სრულფასოვანი წევრები.“*

> ***რესპონდენტი #3:*** *„აი სოფლებში ბაგა-ბაღები არ არსებობს. ბავშვმა როგორ უნდა ისწავლოს ქართული ენა? არცერთი ქართველი არ ცხოვრობს სოფელში და უცებ სკოლაში ქართულად უნდა ისაუბროს.“*

> ***რესპონდენტი #4:*** *„მარნეულს ალბათ სადღაც 7-8% იქნება ქართველი, 83% აზერბაიჯანელი, სადღაც 7% არის ეთნიკურად სომეხიც. რასაც ვხედავ, მუნიციპალიტეტის საქმიანობაში უფრო აქტიურად არიან ჩართული ქართველები, ვიდრე სხვა ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენლები.“*

> ***რესპონდენტი #5:*** *„თუ გადავხედავთ ერთი და იგივე სოფლები ყოველთვის არიან პრივილეგირებულები და იქ ყოველწლიურად ახორციელებენ რაღაც პროექტებს და არის სოფლები სადაც 5 წელიწადში ერთხელ ვერ ვხედავთ მსგავს აქტივობებს. ის რომ ეთნიკურად ქართული სოფლები პრივილეგირებულ მდგომარეობაში არიან, ეს აშკარად ჩანს ბიუჯეტიდან.“*

რესპონდენტთა აზრი გაიყო ქალებისა და მამაკაცებისთვის (მათ შორის ახალგაზრდებისთვის) სხვადასხვა სერვისებისა და შესაძლებლობების თანასწორი ხელმისაწვდომობის საკითხზე. კვლევის ფარგლებში შევეცადეთ ყურადღება გაგვემახვილებინა ქალებისა და გოგონების ჩართულობაზეც გადაწყვეტილების მიღების პროცესში. რესპონდენტების ნაწილი (მათ შორის გოგოები) მიიჩნევენ, რომ არ არიან გენდერული დისკრიმინაციის მსხვერპლნი. აცხადებენ, რომ დაახლოებით 10-15 წლის წინ ვითარება სრულიად სხვაგვარი იყო, კერძოდ, ნორმად იყო მიჩნეული ადრეული ქორწინება, თუმცა წლებთან ერთად მიდგომები და მათ შორის საშუალო ასაკის ადამიანების წარმოდგენებიც ქალის როლზე შეიცვალა და მშობლებს გაუჩნდათ სურვილი მათმა შვილებმა ისწავლონ და მიიღონ განათლება, ქორწინება უკვე აღარ წარმოადგენს გოგონების მომავლის ერთადერთ ალტერნატივას სკოლის დასრულების შემდეგ. თუმცა რესპონდენტთა დაახლოებით ნახევარი აქტიურად საუბრობს ქალებისა და მამაკაცების უთანასწორობაზე, იმ მავნე კულტურულ ტრადიციებზე რაც არსებობს მოსახლეობას შორის, ასევე აღნიშნავენ, რომ თვითმმართველობა განსაკუთრებულად არ არის მოტივირებული გადადგას კონკრეტული ნაბიჯები გენდერული თანასწორობის კუთხით. მართალია შექმნილია

ქალთა გენდერული საბჭო, ასევე ცალკეული პროექტის ფარგლებში დაარსდა ქალთა ოთახი, თუმცა რეალურად ქალების დახმარებას ისინი ვერ ახორციელებენ. ქალთა ოთახის წარმომადგენელი ცალკეული რესპონდენტების განმარტებით, წინასაარჩევნოდ ძირითადად პარტიულ აქტივობებშია ჩართული. რაც შეეხება ქალთა საბჭოს, რესპონდენტთა განმარტებით, ისიც მუნიციპალიტეტთან არსებული სხვა საბჭოების მსგავსად ნომინალურია და რეალური ნაბიჯები გენდერული დისკრიმინაციის აღმოფხვრისა და ქალთა ჩართულობის უზრუნველყოფის მიმართულებით არ გადაუდგამს. რესპონდენტებმა, რომლებიც სამოქალაქო საზოგადოებას წარმოადგენენ და აღნიშნული საკითხი არაერთხელ უკვლევიათ განმარტეს, რომ ქალები საკმაოდ მძიმე მდგომარეობაში არიან როგორც გადაწყვეტილების მიღების პროცესში ჩართულობის კუთხით, ისე ეკონომიკური თვალსაზრისითაც, საკმაოდ მძიმე შრომის შესრულება უწევთ და საბავშვო ბაღების ხელმისავწდომობის პრობლემაც ძირითადად სწორედ მათ მხრებზე გადადის. რესპონდენტებმა აღნიშნეს, რომ ქალები ნაკლებად დადიან საზოგადოებრივი შეკრების ადგილებში (ჩაიხანებში), სადაც ძირითადად იკრიბებიან სოფლის კრების ჩასატარებლად და შესაბამისად მათი წუხილი და პრობლემებიც ნაკლებად მიდის თვითმმართველობის ყურამდე. გამოკითხულმა ადგილობრივი ორგანზიაციების წევრებმა განაცხადეს, რომ ხშირად მარნეულის თვითმმართველობა ნომინალურადაც კი ვერ ასრულებს დავალებას, რომ მუნიციპალიტეტის ინიციატივით გამართულ ცალკეულ შეხვედრებში და ზოგადად მმართველობაში ქალების მონაწილეობა ვიზუალურად ფოტოებში მაინც წარმოაჩინოს. თუ ამგვარი შეხვედრა მაინც გაკეთდა, მასში მხოლოდ პედაგოგები და პარტიული აქტივისტი ქალები მონაწილეობენ. ისიც აღინიშნა, რომ გენდერული უთანასწორობა, მოძველებული გენდერული სტერეოტიპები და კულტურული ნორმები ძირითადად მარნეულიდან მოშორებით მდებარე სოფლებშია გავრცელებული და უშუალოდ ქალაქი მარნეული ამ კუთხით ბევრად პროგრესულია.

***რესპონდენტი #1:** „ქალები საერთოდ ვერ იღებენ მონაწილეობას გადაწყვეტილების მიღების პროცესში. არის მაგალითად სოფლის კრებები, რომელიც წყვეტს ყველაფერს, თვითმმართველობის იდეის ერთერთი კომპონენტია ეს ხო, და სოფლის კრებები ინიშნება ძირითადად ისეთ ადგილებში - ჩაიხანებში, ბირჟებზე, სადაც ადგილობრივი ტრადიციების მიხედვით, ქალები არ დადიან. ზოგ სოფელში ქალები საერთოდ არ მონაწილეობენ და სადაც იქნებიან იქაც თავიანთი მხარდამჭერები. ქალებმა თქვეს, რომ ნეტავ მქონოდა არჩევანი და არ ვიქნებოდი ქალი. მაგალითად, შშმ პირი ქალი, რომ იყოს ეს საერთოდ... ერთი შშმ პირი ქალი იყო და მე საერთოდ მგონიაო, რომ არ ვარსებობო რა ანუ ჩემს სიცოცხლეს და არსებობას 1 თეთრის ღირებულებაც არ გააჩნიაო. ყოფაც განსხვავებულია, ყოფაშიც რაღაცნაირად ქალი დაჩაგრულია, ეკონომიკურად დაჩაგრულია ყველანაირად.“*

***რესპონდენტი #2:** „თბილისიდანაც ეუბნებიან, რომ იმ სურათებს, რომელსაც მუნიციპალიტეტი ოფიციალურ გვერდზე დებს, რომ ქალების მონაწილეობა უნდა გაზარდოთ, ხელოვნურად მაინც უნდა გააკეთოთ, თუ გინდათ „ფოტოშოპით“, ამასაც კი ვერ აკეთებენ, იმიტომ, რომ ქალებს არ სცალიათ, რაც კი ეკონომიკური მოძრაობა ხდება ამ რეგიონებში, განსაკუთრებით სოფლად, სულ ქალების ზურგზეა.“*

***რესპონდენტი #3:** „ქალებთან დაკავშირებით, ქალთა ოთახი არსებობს მარნეულის მერიაში, ამის მიზანია, რომ ქალებს გაუმარტივდეთ ადგილობრივ თვითმმართველობასთან კომუნიკაცია ქალთა ოთახის მეშვეობით, თუმცა ხშირად პარტიულ დავალებებს ასრულებენ ხოლმე ეს თანამშრომლები და ზოგს პიარის*

*ფუნქცია აქვს შეთავსებული მერიის და ეს ცოტა გაურკვეველია. მაგალითად: წინა საარჩევნოდ მმართველ პარტიას ეხმარება ქალებთან შეხვედრაში.“*

რესპონდენტების ნაწილი მიიჩნევდა, რომ ქალთა და მამაკაცთა უთანასწორობის მიზეზი თვითონ საზოგადოებაში არსებული მავნე ტრადიციები და სტერეოტიპებია, თუმცა გამოკითხულთა შორის იყვნენ ისეთებიც, რომლებიც თვლიან, რომ თვითმმართველობას უფრო აქტიური ნაბიჯების გადადგმა მართებს ქალების გადაწყვეტილების მიღების პროცესში ჩართვისა და წახალისების, ასევე ზოგადად მათი საზოგადოებრივ ცხოვრებაში თანაბარი მონაწილეობის უზრუნველყოფის კუთხით. გამოკითხულთა აბსოლუტურ უმრავლესობას მიუღებლად მიაჩნია ქალთა მიმართ არსებული უთანასწორო მიდგომა, მათ მიმართ დადგენილი შეზღუდვები და მიიჩნევს, რომ 21-ე საუკუნეში ამ ტიპის უფლებრივი უთანასწორობა ქალებსა და მამაკაცებს შორის არ უნდა არსებობდეს.

***რესპონდენტი #1:*** *„მიმაჩნია, რომ ამ კუთხით ჩვენთან არანაირი პრობლემა არ არის, მაგალითად კერძო სექტორებში, საჯარო სექტორებში როგორც კაცები, ასევე ქალებიც იღებენ მონაწილეობას, ძალიან აქტიური ქალები გვყავს, ნებისმიერ საკითხში მონაწილეობენ, ასევე ზოგი სტუდენტებიდან არასამთავრობო ორგანიზაციებში იღებენ მონაწილეობას, ზოგადად გენდერული თანასწორობა ჩვენთან არის დაცული.“*

***რესპონდენტი #2:*** *„მხოლოდ ნათესავ გოგონების ჩართვა შემიძლია (აქტივობებში). იყო ეგეთი შემთხვევა, მივედი ოჯახში, რაღაც პროექტი იყო და გოგონები რომ ჩართულიყვნენ, ამაზე მშობლებს უნდა დაელაპარაკო. კი მოეწონათ იდეა, კარგად მიცნობენ როგორც აქტიურ, განათლებულ ადამიანს. მეგონა შედეგი იქნებოდა, კი მითხრეს რომ მოვლენო მაგრამ არავინ არ მოსულა მე-2 დღეს.“*

***რესპინდენტი #3:*** *„არის შეხვედრა ვთქვათ რამე, რომელსაც ესწრება 50 კაცი, მერე ამოიყვანს 3 ქალს, დააყენებს წინა რიგში, გადაუღებს ფოტოს და ამ ქალებს აზრსაც არ ეკითხებიან. ეს უბრალოდ ფოტოსთვის უნდათ, იმიტომ, რომ თუ ფოტოზე არ ჩანს ქალი, იციან რომ მერიას გააკრიტიკებენ. რეალურად ამ ქალების აზრი არ აინტერესებთ და ეს მართლაც ჩანს ყველა სფეროში.“*

***რესპონდენტი #4:*** *„წელიწადში ერთხელ თუ ჩატარდება სოფლის კრება შეიძლება არცერთმა ქალმა მონაწილეობა არ მიიღოს. ამაში დიდი გავლენა აქვს, კულტურულ თავისებურებას და ამას კიდევ ემატება აზროვნების სტილი, ეს სტილი უნდა შევცვალოთ და ამაზე ბევრი უნდა ვიმუშავოთ.“*

***რესპონდენტი #5:*** *„კაცები უფრო ჩართულნი არიან საზოგადოებრივ ცხოვრებაში, ქალები ისე არა. ეს უკვე მგონი... ვისაც უნდა აკეთებს ქალი რამე საქმეს, მაგრამ მეტი ნაწილი არ აკეთებს, ეს მერიის არა, ჩვენი პრობლემაა.“*

### 11.2. ახალგაზრდების ჩართულობა მარნეულის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფორმირების საკითხებში

კვლევის ფარგლებში გამოკითხული ახალგაზრდების დაახლოებით მესამედმა არაფერი იცის ბიუჯეტის ფორმირების პროცესისა და მასში ახალგაზრდების რაიმე ფორმით ჩართვის შესაძლებლობის თაობაზე. რესპონდენტთა მცირე ნაწილს არანაირი ინტერესი ამ საკითხის მიმართ არ აქვს, თუმცა, გამოკითხულთა აბსოლუტური უმრავლესობა აღნიშნული საკითხით დაინტერესებულია. მიუხედავად ინტერესისა, ისინი აცხადებენ, რომ ბიუჯეტის ფორმირების პროცესში მათი ჩართულობის ხარისხი და მონაწილეობა ფაქტობრივად ნულოვანია და ამის

რამდენიმე მიზეზი არსებობს. ერთ-ერთი და მნიშვნელოვანი გამოწვევა ამ კუთხით არის თვითონ თვითმმართველობის მხრიდან არსებული დამოკიდებულება. რესპონდენტები აცხადებენ, რომ თვითმმართველობის წარმომადგენლები ვერ უზრუნველყოფენ ბიუჯეტის განხილვისა ან საზოგადოების საჭიროებების შესახებ გამართული შეხვედრების შესახებ ინფორმაციის საყოველთაო ხელმისაწვდომობას. მართალია თვითმმართველობა აცხადებს, რომ ისინი აორგანიზებენ ბიუჯეტის განხილვას მოსახლეობასთან, მათი საჭიროებების შესწავლას, ასევე საჯაროდ აქვეყნებენ ადგილობრივი ბიუჯეტის პროექტს მოსახლეობის მხრიდან მოსაზრებების წარდგენის მიზნით, თუმცა, როგორც კვლევიდან ირკვევა, რიგ შემთხვევებში საერთოდ ვერ ხდება ბიუჯეტის პროექტის გამოქვეყნების უზრუნველყოფა უმცირესობებისთვის გასაგებ ენაზე, სხვა შემთხვევებში კი ორ ენაზე დოკუმენტი გამოქვეყნებული იყო მხოლოდ სოციალური ქსელების საშუალებით და არა თვითმმართველობის ოფიციალურ ვებ გვერდზე, სადაც უფრო მეტ ადამიანს შეეძლო ენახა და გაცნობოდა ბიუჯეტის პროექტს.

> ***რესპონდენტი #1:*** *„არა მხოლოდ ახალგაზრდების, ყველას პრობლემა არის ინფორმაციის ნაკლებობა. ის რომ არ იციან რა ევალება მუნიციპალიტეტს, კონკრეტულ საკითხებზე ვის უნდა მიმართონ და როგორი მოთხოვნით მივიდნენ. მე ვარ ახალგაზრდა და არ ვიცი, რომ მერიაში არის გარკვეული თანხა გამოყოფილი ჩვენთვის და შეგვიძლია ამ თანხით რაღაცა გავაკეთოთ. ეს თუ არ ვიცი შესაბამისად მოთხოვნაც არ იქნება.“*

> ***რესპონდენტი #2:*** *არ ვიცი ახალგაზრდებს ეკითხებიან თუ არა, მაგრამ თუ ახალგაზრდების საჭიროებების გაგება უნდათ, ალბათ კვლევა უნდა ჩაატარონ და მერე ახალგაზრდების საჭიროებებზე დაფუძნებული ბიუჯეტი უნდა შეადგინონ. მე არცერთ ახალგაზრდულ ბიუჯეტის ჩამოყალიბებაში მონაწილეობა არ მიმიღია, საერთოდ არ ვიცი რამდენია. ალბათ ინფორმაცია არ მოგვაწოდეს, ჩვენ არ ვიცით მონაწილეობა როგორ უნდა მივიღოთ.“*

> ***რესპონდენტი #3:*** *„ბიუჯეტის დაგეგმვის ეტაპზე არანაირი კომუნიკაცია არ არის. ხო არის ბიუჯეტის პროექტი, რომელიც უნდა გაასაჯაროოს მუნიციპალიტეტმა, ამ ბიუჯეტის პროექტს უბრალოდ ტვირთავენ მერიის საიტზე, ასე ვთქვათ ძალიან ძნელად მისაგნებ ადგილას, წინა გვერდზეც არ არის ხოლმე ეს ძირითადად და ამ სახით იცილებენ ყველა ვალდებულებას და ამბობენ - რომ აი ჩვენ ავტვირთეთ საჯარო განხილვისთვის, თუმცა არანაირი განცხადება არ შემოსულა. მარნეულში მოსახლეობის სადღაც, 90%-მა არ იცის, რომ ბიუჯეტის დაგეგმვაში და განხილვაში მონაწილეობის უფლება აქვს.“*

> ***რესპონდენტი #4:*** *„ბიუჯეტის წარდგენა იქნება ან ღია კარის დღე იქნება, ბიუჯეტის დაგეგმვის პროცესისთვის, ეგეთი რამე არ არის თორემ ალბათ მონაწილეობას მივიღებდით. მერიის მხრიდან დიდი ენთუზიაზმი, რომ მოსახლეობის შეხედულებები, მოსაზრებები გაითვალისწინონ ამის დიდი სურვილი არამგონია ჰქონდეთ. რაც უფრო მჭიდრო კონტაქტი ექნებათ ხალხთან მეტი მოვალეობის შესრულება და გათვალისწინება მოუწევთ და ა.შ. შესაბამისად ეს მათთვის უფრო მეტი სირთულე შეიძლება იყოს.“*

კვლევის ფარგლებში გამოკითხულთა უდიდესი ნაწილი აცხადებს, რომ თვითმმართველობის დეკლარირებული განცხადებები თანამშრომლობასა და ახალგაზრდების ჩართულობაზე

მხოლოდ მოჩვენებითია, რადგან რეალურად მათ ვერ უზრუნველყვეს ახალგაზრდული საბჭოს ფუნქციონირება და წახალისება. ვერ მოხერხდა მათი რეალურ საქმიანობაში ჩართვა, რესპონდენტები მიიჩნევენ, რომ თვითთმართველობის წარმომადგენლების დამოკიდებულება იწვევს ახალგაზრდების დემოტივაციას იაქტიურონ ან რაიმე ფორმით ჩაერთონ თვითმმართველობის საქმიანობაში რეგიონის საკეთილდღეოდ, ან რეალურად დააყენონ განსახილველად ცალკეული პრობლემები, წარადგინონ წინადადებები ბიუჯეტში გასათვალისწინებლად. რესპონდენტების განმარტებით, თვითმმართველობას არ სურს ახალგაზრდებთან რეალური კომუნიკაცია და მათი მოსაზრებების მოსმენა, რადგან ეს მათთვის დამატებით საქმიანობას ნიშნავს და თვითთმართველობის წარმომადგენელთაგან პრობლემების გადაჭრის გზების ძიებას მოითხოვს, რისი სურვილიც არ აქვთ. როგორც რესპონდენტები აცხადებენ, მაშინაც, როდესაც ადგილობრივი ხელისუფლების წარმოამდგენლები ისმენენ ახალგაზრდების მოსაზრებებს, ფაქტობრივად არასდროს იღებენ მხედველობაში მათ წინადადებებს და მაინც ისე იქცევიან როგორც თვითონ თვლიან საჭიროდ.

***რესპონდენტი #1:*** *„თუ ჩატარდება საჯარო განხილვაც, დარწმუნებული ვარ მხოლოდ სკოლის პედაგოგები, ბაღის აღმზრდელები და ასეთი ხალხი იქნება მოსული. ანუ იმას, რომ ხალხი აქტიურად არ არის ჩართული, განაპირობებს ინფორმაციის ნაკლებობა, იმიტომ, რომ როცა არა მაქვს ინფორმაცია, რომ მაქვს რაღაცის უფლება, მაშინ არც ვითხოვ ამას ხომ რეალურად. რომ იყოს მართლა საჯარო განხილვები და ჰქონდეს რამე ძალა აუცილებლად ჩაერთვებიან."*

***რესპონდენტი #2:*** *„ხშირ შემთხვევაში შაბლონურად კეთდება, ბიუჯეტი დგება და მერე ვებგვერდზე გამოაქვეყნებენ და რაღაც თარიღს დააწესებენ და გეუბნებიან - მოდი თუ რამე შენიშვნა გაქვს მოგვეცი და გავითვალისწინებთ და მე მაინც რაღაცნაირად ფასადური მგონია ეს ყველაფერი და მუნიციპალიტეტი მეტს უნდა ცდილობდეს."*

***რესპონდენტი #3****: „მათი მოთხოვნები მაინც არ არის გათვალისწინებული, რა მოთხოვნებიც აქვთ, მიუხედავად იმისა, რომ შეხვედრებში ეს ახალგაზრდები თავის მოთხოვნებს აყენებენ, არ ითვალისწინებენ, უბრალოდ ფორმალურ შეხვედრებს ატარებენ და არანაირ ყურადღებას არ აქცევენ. ბევრისგან გამიგია, რომ ერთხელ რომ დაესწრო, მეორედ აღარ დაესწრო, თქვა რომ აზრი არ აქვს, ასეთ ფორმატში ტარდება შეხვედრები."*

***რესპონდენტი #4****: „კარგად იციან ჩვენი საჭიროებები, მაგრამ არ გაითვალისწინებენ, რაც თვითონ უნდათ იმას გააკეთებენ."*

თვისებრივი კვლევის ფარგლებში ცხადი გახდა, რომ იმ აქტიურმა ახალგაზრდებმაც კი, რომლებიც თვითმმართველობასთან არსებულ ახალგაზრდულ საბჭოებში იყვნენ არჩეულნი, არ იციან რა ფორმით გააგრძელონ საქმიანობა და როგორ მიიღონ მონაწილეობა ბიუჯეტის დაგეგმვის პროცესში. რესპონდენტთა ნაწილი იმასაც აცხადებს, რომ თუ მერიისა და საკრებულოს წევრები ვინმეს ხვდებიან ან ეხმარებიან ახალგაზრდებიდან, ისინიც ან მათი ახლობელ-ნათესავები ან პარტიული ხმარდამჭერები არიან. ცალკე გაესვა ხაზი ასევე მერიის მხრიდან არასერიოზულ და გარკვეულ წილად აგდებულ დამოკიდებულებას სამოქალაქო ინიციატივებისა და აქტივისტების მიმართ, რაც თავის მხრივ იწვევს აქტიური

ახალგაზრდების ფრუსტრირებას და იმედგაცრუებას, ხანგრძლივ ვადიან პერსპექტივაში კი ხელს უწყობს ახალგაზრდების მხრიდან პასიურობას.

გამოკითხულთა დიდი ნაწილი, მიუხედავად არსებული გამოწვევებისა ხედავს ახალგაზრდების აქტიურობისა და უფრო მეტი ჩართულობის პერსპექტივას და ხაზს უსვამს რომ მათ სურთ არსებული სიტუაციის შეცვლა რეგიონში, აქვთ ამის პოტენციალი და ცვლილებებისთვის მზადყოფნის მუხტიც შეინიშნება, თუმცა თავის მხრივ თვითმმართველობა ამ თანამშრომლობისა და მოსაზრებების გაცვლისთვის მზად არ არის და ამის სურვილს არ გამოხატავს. ამასვე ადასტურებს მოცემული კვლევის ფარგლებში ახალგაზრდებთან ჩატარებული ინტერვიუები, მათი უდიდესი ნაწილი მზადაა ადგილობრივი თვითმმართველობის მხრიდან რეალური თანამშრომლობის სურვილისა და ინიციატივის შემთხვევაში, ჩაერთოს ბიუჯეტის ახალგაზრდული საჭიროებების საბიუჯეტო ხაზის განსაზღვრაში და მონაწილეობა მიიღოს ბიუჯეტის დაგეგმვის პროცესში, მით უფრო, რომ რესპონდენტთა ნაწილი ხაზს უსვამს ბიუჯეტში არასწორი პრიორიტეტების ასახვას და აცხადებს, რომ ახალგაზრდებზე უკეთ სხვა ვერ აღწერს მათივე საჭიროებებსა და პრიორიტეტებს.

***რესპონდენტი #1***: *„ყოფილა რამდენიმე შემთხვევა (აქტიურობის) სხვების მხრიდან, მაგრამ იყო დაცინვა და ისეთი რეაქცია, რომ აი თქვენ რა გესაქმებათ? თვითმმართველობის წევრებისგან იყო ასეთი დამოკიდებულება. მე პირადი გამოცდილებაც მქონდა, ძალიან კარგი ინიციატივით მიდიხარ, მათი არაფერი არ გინდა ფინანსურად, უბრალო მხარდაჭერა. მე არ ვადანაშაულებ არცერთ მოქალაქეს, რომ არიან ასეთი პასიურები. ანუ ეს დამოკიდებულება არის გამომწვევი მიზეზი, რომ მოქალაქეები არ არიან ჩართულები, თორემ ყველას ადარდებს საკუთარი პრობლემები. .... (საბჭოში) ჩაგვიტარეს რამდემინე ტრენინგი, ვიყავით რამდენიმე შეხვედრაზე, მაგრამ უშუალოდ ჩვენ არ გვქონია შეხება ბიუჯეტი იქნებოდა, დაგეგმვა ან სხვა ამდაგვარი. მუშაობის პროცესზე არ გადავსულვართ.“*

***რესპონდენტი #2:*** *„ჩვენ უნდა ვყოფილიყავით რაღაცა ხიდი, სახელმწიფოსა და ახალგაზრდებს შორის. მაგრამ რახან ეს არ გამოვიდა, უკვე ახალგაზრდა თვითონ უნდა მივიდეს მერიაში და თვითონ უნდა მოსთხოვოს, მგონი ეგრე ხდება, ზუსტად ვერ გეტყვით.“*

***რესპონდენტი #3:*** *„რაღაცა გამოკითხვა ჩავატარეთ სოფელში ახალგაზრდების საჭიროებებზე, მაგრამ არც ეს გამოვიდა, მერე არც შევიკრიბეთ და მაგის განხილვა არ ჩატარდა და ისიც წყალში ჩაგვივარდა. საბჭოზე წასაღებად შევაგროვე ეს მონაცემები, თავმჯდომარეს ევალებოდა მერე ამის განხილვა და რაღაცების დაგეგმვა. ზუსტად ვერ გეტყვით ვისი ან რისი პრობლემა იყო მაგრამ არ შედგა ეს საბჭო.“*

***რესპონდენტი #4:*** *„მაინც არ ითვალისწინებენ ჩვენ ინიციატივებს და ეს იმდენად რთული პროცესია, რომ რასაც თვითონ დაგეგმავენ, იმას აკეთებენ საბოლოო ჯამში და ახალგაზრდებისთვის რა თქმა უნდა ორმაგად რთულია. ანუ არის ახალგაზრდული საბჭო, რომელიც ასევე უფუნქციოა, ჩვენი თვითმმართველობა იმდენად დახურულია ჩვენთან რომ, არც არასამთავრობოებთან თანამშრომლობენ, არც მედიასთან თანამშრომლობენ და ახალგაზრდებთან რამდენად ითანამშრომლებენ, არ მაქვს დიდი იმედი და თუ არ წამოვიდა თვითმმართველობა თანამშრომლობაზე, რა აზრი აქვს?*

*იგივე ახალგაზრდული საბჭო მაგისი მაგალითია, ვითომ მაგისთვის შექმნეს და რეალურად არაფერს აკეთებს.“*

თავის მხრივ მუნიციპლატიტეტის წარმომადგენელი მმართველი პარტიიდან აცხადებს, რომ ეეროვნულ დემოკრატიული ინსტიტუტის (NDI) მხარდაჭერით ჩატარდა ახალაგაზრდების პრიორიტეტების შესწავლა და შედგა პრიორიტეტების დოკუმენტი, რის მიხედვითაც ყოველწლიურად საჭიროებები შეძლებისდაგვარად ისახება მთავარ ფინანსურ დოკუმენტში. რესპონდენტი ასევე აცხადებს, რომ ბიუჯეტზე მოსაზრების წარდგენისთვის ბიუჯეტის პროექტი ქვეყნდება თვითმმართველობის სოციალური ქსელების საშუალებით, თუმცა იქვე დასძენს, რომ არ აქვს ინფორმაცია იმის შესახებ, რამდენად ეფექტიანია ეს გზა მოსახლეობის საბიუჯეტო განხილვებში სრულყოფილად ჩასართავად.

***რესპონდენტი #1***: *„ინფორმაცია იდება ფეისბუქ გევრდზე, მე რამდენადაც ვიცი რწმუნებულის და მაჟორიტარი დეპუტატის ჩართულობით ხდება შეხვედრების ორგანიზება, მედია საშუალებით და ფეისბუქ გევრდით ხდება (ინფორმაციის გავრცელება), თუმცა რამდენად ეფექტურია მაგას ვერ გეტყვით.“*

როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, ახალგაზრდები და ახალგაზრდულ საკითხებზე მომუშავე სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები ამ ტიპის თანამშრომლობას ვერ იხსენებენ და ახალგაზრდების თვითმმართველობის საკითხებში ნაკლები დოზით ჩართვასაც ადგილობრივი ხელისუფლების საქმიანობის ამგვარ ჩაკეტილ, იზოლაციურ ფორმას უკავშირებენ.

***რესპონდენტი #2*** *„სიმართლე გითხრათ არ ვიცი, სავარაუდოდ უფრო მეტად პარტიულ აქტივისტებთან აქვთ ეს კომუნიკაცია იმიტომ, რომ მე არ მახსოვს მათ გამოაცხადონ რამე შეხვედრა ახალგაზრდებთან, სადაც მონაწილეობას მიიღებენ, მარნეულში ათობით აქტიური ახალგაზდრა გვყავს და არა მგონია მათთან შეთანხმებით მოხდეს რამე. არ მოსწონთ კრიტიკული ადამიანი და უნდათ გააკეთონ ის რასაც თვითონ თვლიან საჭიროდ.“*

***რესპონდენტი #3:*** *„მნიშვნელოვანია ახალგაზრდების ჩართულობა, ჩვენზე კარგად ვის ეცოდინება ჩვენი საჭიროებების შესახებ, მაგრამ სამწუხაროდ არ ისმენენ. აი რამდენი წელია უკვე თვალს ვადევნებ სოფლის კრებები რომ ტარდება და მერე ვიგებ, რომ თურმე ჩვენს სოფელშიც ყოფილა ასეთი შეხვედრა, მერიის გვერდზე აზიარებდნენ და მერე, რომ ვნახე შარშან ჩაუტარებიათ ჩვენს სკოლაში, არ ვიცი როდის იყო არავის არ ჰქონია წინასწარ ინფორმაცია და სურათებს რომ შევხედე, მარტო ოცნების აქტივისტები იყვნენ, ვინც ოცნებისთვის მუშაობდა არჩევნებზე, ის მასწავლებლები იყვნენ, სხვა არავინ.“*

### 11.3. მარნეულის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდების პრიორიტეტები და თვითმმართველობის ანგარიშვალდებულება

კვლევის ფარგლებში გამოიკვეთა ის პრიორიტეტები, რასაც ახალგაზრდები მნიშვნელოვნად მიიჩნევენ და რომელთა გადაწყვეტას ისურვებდნენ ადგილობრივი თვითმმართველობის ბიუჯეტიდან. გამოკითხვის შედეგად ცხადი ხდება, რომ სხვა საკითხების მსგავსად მნიშვნელოვნად განსხვავდება არსებული პრობლემატიკის სიმწვავე ქალაქ მარნეულსა და მარნეულის რაიონის სოფლებში. განსაკუთრებით იგრძნობა გამოწვევები მარნეულიდან შედარებით მოშორებით მდებარე სოფლებში. კვლევის ფარგლებში გამოკითხულ პირთა

დასახელებულ პრიორიტეტებს შორის მოხვდა ახალგაზრდებისთვის სახელმწიფოს ხარჯზე ქართული ენის სწავლება, ცხადი გახდა, რომ სკოლა ადგილობრივ ეთნიკურ უმცირესობებს ვერ აწვდის ქართული ენის სათანადო ცოდნას, რაც გამოწვეულია როგორც საბავშვო ბაღების ხელმისაწვდომობის პრობლემით, ასევე პედაგოგებს შორის კომპეტენციის დეფიციტით, ეს კი ავტომატურად უმნიშვნელოვანეს სირთულეებს იწვევს უფრო შემდგომ ეტაპზე, უნივერსიტეტში სწავლის პერიოდში. ენის არცოდნის საკითხი პირდაპირ არის გადაჯაჭვული თვითმმართველობასთან კომუნიკაციის ხელმისაწვდომობასა და საკუთარი წუხილისა თუ პრობლემების გადაჭრის გზების ძიებასთან. ამ ეტაპისთვის თვითმმართველობასთან ოფიციალური კომუნიკაცია მხოლოდ ქართულ ენაზეა შესაძლებელი, რაც ქართული ენის არცოდნის გამო, მარნეულში მცხოვრები მოსახლეობის მნიშვნელოვან ნაწილს ამ ტიპის კომუნიკაციიდან ფაქტობრივად გამორიცხავს.

> ***რესპონდენტი #1:*** *„ჩვენ სახელმწიფო ენის შესასწავლად ფულს ვიხდით, სინამდვილეში ეს სახელმწიფოს ვალდებულებაა, მოსახლეობის უმეტესობას უნდა რომ ისწავლოს."*
>
> ***რესპონდენტი #2:*** *„მე პირველ წელს რომ ჩამოვედი სასწავლებლად მოსამზადებელ კურსზე, სულ ვტიროდი, იმიტომ, რომ ვერ გავიგე სახელმწიფო ენა უნდა მესწავლა თუ საგნები, სულ ამაზე ვფიქრობდი, არა მარტო მე, სხვა ახალგაზრდებიც არიან მსგავს სიტუაციაში."*
>
> ***რესპონდენტი #3:*** *„ჩვენთან ენობრივი ბარიერი არის და აზერბაიჯანულენოვან მოსახლეობას ეშინოდა მერიასთან კომუნიკაციის, მათ საჭიროებებზე."*

ახალგაზრდებისთვის მნიშვნელოვან საკითხებს შორის დასახელდა ასევე არაფორმალური განათლების სივრცეების შექმნის აუცილებლობა, სათემო ცენტრების მხარდაჭერა, სადაც ახალგაზრდები შეძლებენ თავისუფალი დროის კონსტრუქციულად გამოყენებას, სადაც მათ მიეცემათ არაფორმალური განათლების მიღების, ცალკეული ინიციატივების განხორციელებისა და ახალგაზრდული დისკუსიების წარმართვის შესაძლებლობა. ხაზი გაესვა იმ საკითხს, რომ განსაკუთრებით სოფლებში არსებობს ახალგაზრდული სივრცეების ნაკლებობა, არ არის სკვერები, კაფეები და კინო-თეატრები, სადაც ახალგაზრდა თაობა შეძლებს მონაწილეობა მიიღოს კულტურულ თუ რეკრეაციულ აქტივობებში, შეხვდნენ ერთმანეთს, ისაუბრონ და დრო სასიამოვნოდ გაატარონ. კვლევის რესპონდენტებმა ცალკე გამოყვეს სოფლებში ბიბლიოთეკების მოწყობის აუცილებლობაც, რომელიც არ იქნება განთავსებული სკოლებში და მხოლოდ მოსწავლეებისთვის, არამედ მოეწყობა ისეთ სივრცეში, სადაც სტუდენტებს და სხვა ახალგაზრდებსაც შეეძლებათ მისვლა და სახელმძღვანელოებით თუ მხატვრული ლიტერატურით სარგებლობა.

> ***რესპონდენტი #1:*** *„ფაქტია, რომ არაფორმალური განათლება, რასაც ახალგაზრდა იღებს ერთი წლის განმავლობაში უდრის თორმეტწლიან სასკოლო განათლებას ჩემი აზრით, უფრო 'განვითარებულები ხდებიან."*
>
> ***რესპონდენტი #2:*** *„არ არის სკოლის გარდა ახალგაზრდებისთვის გასასვლელი ადგილი. სივრცე, არ ვიცი ამას რა დაერქმევა, მაგრამ ახალგაზრდებს რამე შესთავაზონ, რომ დრო ეფექტურად გაატარონ."*
>
> ***რესპონდენტი #3:*** *„ახალგაზრდული სივრცეები სადაც ჩვენ შევიკრიბებით, პროექტებს განვახორციელებთ, თუნდაც მოხალისეობრივად, ინფორმაციას მივიღებთ, ასეთი სივრცეები არ გვაქვს."*

მარნეულის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდებმა პრიორიტეტულ საჭიროებებს შორის დაასახელეს სპორტული წრეების მრავალფეროვნება და მათი ხელმისაწვდომობა არა მხოლოდ ქალაქში, არამედ სოფლებშიც. რესპონდენტები აცხადებენ, რომ სოფლებში გოგონებისთვის არ არის შექმნილი პირობები სპორტულ აქტივობებში ჩასართავად, რაც გულისხმობს როგორც მათი ინტერესების გათვალისწინებას, ისე არსებულ წრეებში ჩართულობასთან დაკავშირებულ ბარიერებს, რაც ტექნიკურად შეუძლებელს ხდის გოგონების სპორტულ წრეებში ჩართვას. მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება მარნეულის ყველა სოფლის, განსაკუთრებით კი ეთნიკური უმცირესობებით დასახლებული სოფლების უზრუნველყოფა საბავშვო ბაღებით, რაც თავიდანვე ხელს უშლის ბავშვების ქართულენოვან თემთან ინტეგრაციას და იწვევს იმას, რომ სკოლაში წასვლისას აზერბაიჯანულმა მოსახლეობამ ქართული საერთოდ არ იცის. ხაზი გაესვა მარნეულელი ახალგაზრდების სხვა რეგიონის წარმომადგენლებთან კომუნიკაციისა და ინტეგრაციის აუცილებლობასაც, რადგან როგორც ახალგაზრდების ნაწილმა აღნიშნა, არსებობს გარკვეული სახის სტიგმა უმცირესობათა მიმართ, რისი დაძლევისთვისაც შესაძლოა მნიშვნელოვანი და დამხმარე აღმოჩნდეს ერთობლივი აქტივობები, ბანაკები და გაცვლითი ღონისძიებები.

> ***რესპონდენტი#1:*** *„გარემო არ არის, რომ გოგონებმაც იარონ (სპორტულ წრეებზე), გასახდელები არ არის. იმისათვის, რომ გოგონებიც მივიდნენ, აქ რაღაც დეტალებია გასათვალისწინებელი. იქ ყველა კაცია, ყველა ბიჭია და ამ შემთხვევაში ძალიან უჭირთ მშობლებს გოგონების გაშვება. და ჭიდაობა რომ არ უნდოდეს გოგონებს, სხვა ალტერნატივაც არაა.“*

რესპონდენტმა ახალგაზრდებმა მათი საჭიროებების ჩამოთვლისას ცალკე გამოყვეს სოფლად მცხოვრები ახალგაზრდების განვითარების ხელშეწყობა, რადგან როგორც კვლევამ აჩვენა, არსებული მდგომარეობის გამო, სოფლებში განსაკუთრებით მწვავედ დგას მათი დედაქალაქსა და სხვა ქვეყნებში მიგრაციის საკითხი. ცალკე გაესვა ხაზი გარემოს დაცვის საკითხებსაც, რაც სპეციფიურად ახალგაზრდულ პრობლემებს არ განეკუთვნება, თუმცა ამ ასაკობრივი ჯგუფისთვის აქტუალურ საკითხს წარმოადგენს. რესპონდენტთა უდიდესმა ნაწილმა ახსენა ტრანსპორტის ხელმისაწვდომობის პრობლემაც, რაც განსაკუთრებით მწვავედ დგას სოფლებში და აბრკოლებს ახალგაზრდებს ჩაერთონ ცალკეულ აქტივობებში თუ ღონისძიებებში რეგიონულ ცენტრში ან ახლოს მდებარე ქალაქებში. მათი გადმოცემით თავს იკავებენ სოფლის გარეთ გადაადგილებისგან, რადგან საღამოს საათებში გამუდმებით ექმნებათ შინ დაბრუნების პრობლემა, რაც კიდევ უფრო ზღუდავს მათი სხვადასხვა აქტივობებში ჩართვის შესაძლებლობას.

> ***რესპონდენტი #1:*** *„თუ მარნეულში რაღაც ღონისძიებაა, ჩემი მეგობარი მაგალითად, ბოლნისის ერთ-ერთ სოფელში ცხოვრობს და თავის სოფელში მისვლისთვის თავის სოფლელს უნდა დაელოდოს ვინმე თუ წავა.“*
>
> ***რესპონდენტი #2:*** *„ლექციების მერე საღამოს სახლში ვეღარ ვბრუნდებოდი, თუ ვბრუნდებოდი, ტაქსში უნდა გადამეხადა ძალიან ბევრი ფული და ეს იყო ძალიან დიდ ხარჯებთან დაკავშირებული. მუნიციპალიტეტმა უნდა დაამატოს ტრანსპორტის ხაზები სტუდენტებისთვის.“*
>
> ***რესპონდენტი#3:*** *„თუნდაც მქონდეს სურვილი (საკრებულოს სხდომაზე დასწრების), ტრანსპორტირება არ არის.“*

კვლევის რესპონდენტებს დაესვათ კითხვა იმასთან დაკავშირებით, თუ რა ნაწილს უნდა წარმოადგენდეს პროცენტულად ადგილობრივ ბიუჯეტში ახალგაზრდული საკითხებისთვის

გათვალისწინებული ხარჯი. რესპონდენტთა პასუხებს შორის საკმაოდ დიდი პროცენტული სხვაობაა, თუმცა ამჟამად არსებულ რეალობას ყველა მაჩვენებელი მნიშვნელოვნად აღემატება. უმცირეს მაჩვენებელად განისაზღვრა ბიუჯეტის საერთო ოდენობის 10%, ხოლო უდიდესი პროცენტული მაჩვენებელი, რომელიც დაფიქსირდა არის 90%. ამასთან გამოკითხულთა უმრავლესობა მიიჩნევს, რომ ახალგაზრდებისთვის საჭირო ხარჯები უნდა განისაზღვროს 20-50%-ით. როგორც ვხედავთ რესპონდენტების მოსაზრებები ბიუჯეტის ახალგაზრდული პოლიტიკის პრიორიტეტებთან და ხარჯვასთან დაკავშირებით მკვეთრად განსხვავდება რეალურად არსებული მოცემულობისგან და ახალგაზრდებისა და სამოქალაქო საზოგადოების მოსაზრებით ადგილობრივმა თვითთმართველობამ ბიუჯეტის ბევრად უფრო მნიშვნელოვანი წილი უნდა მიმართოს 14-29 წლის ასაკობრივი ჯგუფის პრიორიტეტების დასაკმაყოფილებლად.

კვლევის ფარგლებში შევისწავლეთ აგრეთვე რესპონდენტთა ინფორმირებულობის დონე და მათი მოსაზრებები ადგილობრივი თვითმმართველობის ანგარიშვალდებულებასთან დაკავშირებით. დავინტერესდით რამდენად იცოდნენ მათ საკუთარი უფლებების შესახებ თვითთმართველობის საქმიანობაში ჩართვის, საკრებულოს სხდომებზე დასწრებს, მერის ანგარიშის მოსმენაში მონაწილეობის შესახებ. აღმოჩნდა, რომ რესპონდენტთა ნაწილი საერთოდ არ ფლობს მსგავს ინფორმაციას, მეორე ნაწილი მართალია საქმის კურსშია, თუმცა თვითმმართველობაში ჩართულობის აზრს ვერ ხედავს და მიიჩნევს, რომ თავად თვითთმართველობის წარმომადგენლები ამ ტიპის თანამშრომლობას მოქალაქეებსა და საჯარო მოხელეებს შორის ხელს არ უწყობენ, უფრო პირიქით გარკვეულ წილად დამცინავი დამოკიდებულება და ამავდროულად ყველა საკითხზე უკვე მყარად განსაზღვრული პოზიცია აქვთ, რაც სხვისი მოსაზრებების გაზიარებისა და განხილვის სივრცეს ფაქტობრივად არ ტოვებს.

> ***რესპონდენტი#1:*** *„სურვილი მქონდა და დავსწრებივარ 2 სხდომას, თავიდან ძალიან მონდომებული ვიყავი და მინდოდა აქტიურობა, ჩემი და თემის ინტერესების გამოხატვა, პრობლემებზე საუბარი. გააჟღერებ პრობლემას და გვერდზე წარმომადგენელი ამას უარყოფს, ეს არის ერთი პრობლემა და მე-2 მიუღებლობა, არასერიოზული დამოკიდებულება და ხედავ რო არ უნდათ, იმიტომ, რომ სხვა რაღაცებს ანიჭებენ უპირატესობას და ჩვენთვის აქტუალური საკითხი მაგათთვის არ არის პრორიტეტული.“*
>
> ***რესპონდენტი #2:*** *„ადრე არ ვყოფილვარ ვიცი, რომ რაღაც ნაწილი აქტივისტების, ახალგაზრდების მონაწილეობენ, მაგრამ, არა მგონია მათ მიმართ ანგარიშვალდებულად გრძნობდნენ თავს, ეგ კი არა საერთოდ კომუნიკაციაზე არ მოდიან.“*
>
> ***რესპონდენტი #3:*** *„ჩვენთან უმრავლესობამ არ იცის მერიას მაგათ წინაშე ანგარიშვალდებულება რომ აქვს.“*
>
> ***რესპონდენტი*** **#4**: *„ფორმალობაა, ვის რაზე უნდა ელაპარაკო, რომ ჩართონ ეს ხალხი? ჩვენ პირველი პრობლემა გვაქვს, რომ თვითმმართველობა რეალური უნდა გახდეს.“*
>
> ***რესპონდენტი #5:*** *„თქვენ ხართ მნიშვნელოვანი ამ ბიუჯეტში და რომ ეს ჩვენი არ არის და თქვენი ფულით ვაკეთებთ ამ ყველაფერს, ეს ანგარიშვალდებულება უნდა აგრძნობინოს მუნიციპალიტეტმა მოსახლეობას.“*

*რესპონდენტი #6:* *„არამგონია რომ დაესწრონ, ბოლო დროს ძალიან პასიურები გახდნენ, ადრე უფრო აქტიურები იყვნენ. იციან, რომ ქართული ოცნება მაინც თავისას გააკეთებს, იყო კომუნიკაცია, არ გაითვალისწინეს, ამან გამოიწვია ასეთი განწყობა ახალგაზრდებში.“*

*რესპონდენტი #7:* *„სურვილი მაქვს და თუ შესაძლებლობა მექნება, წავალ რა თქმა უნდა, როგორც ახალგაზრდა, მაგრამ თუ მერია არ მაძლევს ამ შესაძლებლობას, როგორ წავიდე და როგორ მოვთხოვო.“*

ახალგაზრდების ნაწილი აცხადებს, რომ მართალია დიდი ძალისხმევის შედეგად მიღწეულ იქნა, რომ ინფორმაცია საკრებულოს სხდომის თაობაზე ვრცელდება სოციალურ ქსელებში, თუმცა მათი ნაწილის განმარტებით, ეს ინფორმაცია იმდენად გვიან იდება, რომ მონაწილეობის დაგეგმვა ფაქტობრივად შეუძლებელი ხდება, ნაწილი აცხადებს, რომ ტრანსპორტირების პრობლემების ან სხვა საქმეების გამო ვერ ახერხებს დასწრებას, ამავდროულად გამოკითხულთა დიდი ნაწილი მიიჩნევს, რომ მონაწილეობა დიდად არაფერს ცვლის და თვითთმმართველობა მაინც საკუთარი შეხედულებით იღებს გადაწყვეტილებებს, მეტიც შესაძლოა სამოქალაქო აქტივისტების, ახალგაზრდების დასწრებამ მათი გაღიზიანება ან უკმაყოფილება გამოიწვიოს. რესპონდენტები მიიჩნევენ, რომ მნიშვნელოვანია ამ ტიპის დამოკიდებულების შეცვლა, თვითმმართველობის წევრთა მხრიდან იმის გააზრება, რომ ადგილობრივი ბიუჯეტი არ არის მათი კუთვნილება და სამოქალაქო საზოგადოების, მოსახლეობის სურვილებისა და ნების გათვალისწინება აუცილებელია. რესპონდენტები აღნიშნავენ, რომ თანამშრომლობის რესურსი ფაქტობრივად არ არსებობს და საზოგადოებასთან დიალოგი არსებული მოცემულობით არ არის თვითმმართველობის საქმიანობის ჩვეული ფორმა. რესპონდენტთა ნაწილმა ასევე აღნიშნა, რომ საკრებულოს შენობის შშმ პირთა საჭიროებებზე მორგების პრობლემა და არაადაპტირებულობა, ასევე ხშირად ინფორმაციის მხოლოდ ქართულ ენაზე გავრცელება იწვევს ცალკეული საზოგადოების წევრების გამოთიშვას პროცესიდან და ართმევს მათ ჩართულობის შესაძლებლობას.

*რესპონდენტი #1:* *„მგონი თვითმმართველობის გვერდზე იდება ინფორმაცია რომ სხდომა იქნება, მაგრამ მე სიმართლე გითხრათ იმდენი პრობლემებია მირჩევნია ვიმუშავო, ან ახალგაზრდებთან ვიყო, რა თქმა უნდა ესეც ჩემი მოვალეობაა, მაგრამ რადგან რომ მიმართავ არაფერს აკეთებენ, უნდობლობაა, მოტივაცია მაქვს დაკარგული.“*

*რსპონდენტი #2:* *„ძალიან ბევრი შრომა დაგვჭირდა იმისთვის, რომ ელემენტარული ანონსი გაეკეთებინა საკრებულოს, რომ ამა და ამ დღეს იქნება საკრებულოს სხდომა და მსურველებს შეგიძლიათ დაესწროთ. ამას აკეთებს ახლა, მაგრამ საკრებულოს სხდომები არის, ფუჭი დროის კარგვა.“*

*რესპონდენტი #3:* *„პოლიტიკა, მიდგომა უნდა შეიცვალოს ახალგაზრდების მიმართ, რომ მე მომეცი ხმა და მე უკეთ ვიცი შენ რა გჭირდება, აი ეგ მიდგომა უნდა შეიცვალოს.“*

*რესპონდენტი #4:* *„არჩევნების დროს რო დადიან და ეკითხებიან რა გინდათო, აი ბიუჯეტის დაგეგმვის დროს უნდა იყოს ასე რომ კითხონ, რა გჭირდებათ?“*

**რესპონდენტი #5:** *„მარტო ის ხომ არ არის, როდესაც საკრებულოს სხდომა იმართება, ხშირ შემთხვევაში იდებოდა ხოლმე 2 საათით ადრე და ახლა 3 საათი რომ ჩამოსასვლელად მჭირდება როგორ ჩამოვიდე და როგორ დავესწრო?"*

**რესპონდენტი #6:** *„მე მირჩევნია ჟურნალისტების „ლაივს" ვადევნიო თვალ-ყური და ჩანაწერებს მივუსმინო, ვიდრე მივიდე და პირდაპირ დავესწრო და რამე უსიამოვნებაში გავეხვე."*

**რესპონდენტი #7:** *„პოსტს თავიანთ გვერდზე ძალიან გვიან აქვეყნებენ, რომ ხალხს ინფორმაცია არ ჰქონდეთ, ჩემი აზრით."*

**რესპონდენტი #8:** *„მე პირადად მინდოდა მცოდნოდა, თუ რაში იხარჯება წელს ბიუჯეტი, რა კეთდება, რაში ვიხდით ფულს. მინდოდა ჩართული ვყოფილიყავი და მომესმინა თუ რა კეთდება. ინფორმაცია რო იყოს, მე მაგალითად მივიღებდი მონაწილეობას."*

**რესპონდენტი#9:** *„ყველა სადავე თვითმმართველობის ხელშია და თუ მას უნდა დაესწრებიან ახალგაზრდები. ანუ მუნიციპალიტეტი არ ქმნის იმ პირობებს, რომ ახალგაზრდები დაესწრონ და ჩაერთულნი იყვნენ ამ პროცესებში."*

მართალია უმრავლესობის წარმომადგენელი საკრებულოს წევრი აღნიშნავს, რომ ახალგაზრდული საკითხების მიმართ მართლაც მეტი აქტიურობაა საჭირო, თუმცა ამტკიცებს, რომ საკრებულოს სხდომების შესახებ ინფორმაცია ფეისბუქ გვერდზე ერთი კვირით ადრე იდება და მსურველებს სხდომაზე დასწრების და მონაწილეობის უფლება აქვთ, რაც შეეხება კომისიის სხდომებს, მათ შესახებ ინფორმაცია არ ვრცელდება.

**რესპონდენტი: #1:** *„ერთი კვირით ადრე იდება ინფორმაცია რომ ამ თარიღზე, ამ საათზე არის საკრებულოს სხდომა, ეს იდება ფეისბუქ გვერდზე, Marneuli.gov.ge- ზე იდება თუ არა არ შემიმჩნევია. ვერ გეტყვით მერიის ახალგაზრდული სამსახური რას აპირებს. ჩემი აზრით მათი აქტიურობა არ არის საკმარისი და უნდა გააძლიერონ."*